გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 12
(11 878)

18 – 21 თებერვალი, 2005 წ.
ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

- აღვადგინოთ ტრადიცია
- ბედი მოჭადრაკისა – ქეთევან არახამია
- საქართველოში დღეს საფეხბურთო გაზაფხული დგება
- ქართული ფეხბურთის პათოლოგიის დიაგნოზი
- ნედვედისთვის „რეალი“ უნაკლოა
- კასპაროვ – კასიმჟანოვის მატჩის ბედი თბილისში გადაწყდება
- მშვიდობით, ნჰლ!
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი

ცნობები სპორტული ფედერაციებიდან

◆ **ძიუდოს ეროვნული ფედერაციისა და კლუბ „საგარეჯოს“ მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა** დაასახელა ის ძიუდოისტები, რომლებიც სავარაუდოდ მონაწილეობას მიიღებენ ევროპის საკლუბო პირველობაში. ესენი არიან: ნესტორ ხერგიანი (კაპიტანი), რევაზ ზიდირიდისი (იგივე რუსლან გედენიძე), ვახტანგ ხოსიტაშვილი (სამივე — 60 კგ), დავით მარგოშვილი და ზაზა კედელაშვილი (66), დავით ქევხიშვილი (73), ილიას ილიადისი (იგივე ჯარჯი ზვიადაური) და გრიგოლ მამრიკიშვილი (81), ზურაბ ზვიადაური (90), ივერი ჯიქურაული, გიორგი ყიზილაშვილი ან გიორგი გუგავა (100), აბდულო ტანგრიევი და ალექსი დავითაშვილი (მძიმე). ტანგრიევი უზბეკეთის ნაკრების ლიდერია.

◆ **ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში** დაპირისპირებები დალაგებისკენ მიდის. ყოველ შემთხვევაში მწვრთნელები აღადგინეს თავიანთ უფლებებში და ბაკურიანში სავარჯიშოდ „კლასიკოსებიც“ გაემგზავრნენ ბეგი დარჩიას ხელმძღვანელობით.

◆ **მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის** მორიგი ყრილობა 25 თებერვალს ჩატარდება. პრეზიდენტის პოსტს სტოვებს **ქეთევან ლოსაბერიძე**. ჯერჯერობით ლოსაბერიძის შემცვლელად ვეტერანი მსროლელი **თენგიზ ტერუნაშვილი** მოიაზრება.

ისმინეთ!

გამოხმაურება

როდესაც გაზეთ „ლელოს“ მეცხრე ნომერში გავეცანი თბილისის განათლების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელ ბ-ნ თ. გუდაძის მოხსენებით ბარათიდან ამონაწერს რუბრიკაში „ისმინეთ!“, გული მეტკინა. თურმე ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებიდან, სუსტი ჯანმრთელობის გამო, 20.000 მოსწავლეა განთავისუფლებული და იგნორირებულია მათი სპეციალურ სამედიცინო ჯგუფებში მეცადინეობა.

ჯერ კიდევ 1974 წ. განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების დავალებით ჩემს მიერ, სხვადასხვა მასალებზე დაყრდნობით და საკუთარი გამოცდილებით, გამოიცა სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც სუსტი ჯანმრთელობის ბავშვებთან ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩატარების მეთოდური სახელმძღვანელოა. აღწერილია 26 დაავადება და თითოეული დაავადებისადმი შესაფერისი ვარჯიშები და თამაშობანი დაწყებული პირველი კლასიდან მერვე კლასის ჩათვლით. დაწვრილებითაა აღწერილი პროგრამები, დაწყებული ტანვარჯიშიდან დამთავრებული სხვადასხვა იარაღების გამოყენებით და თამაშობებით, მათი ჩატარების მეთოდიკა.

მთლიანობაში მოცემულია მთელი სასწავლო წლისათვის 30 გაკვეთილი. სახელმძღვანელო გამოიცა მასობრივი ტირაჟით და დაურიგდათ სკოლებს. ერთდროულად გამოიცა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრების შესაბამისი ბრძანება. საცდელი მეცადინეობები ტარდებოდა ვეკუას სახელობის სკოლაში და ძალზე დიდი შედეგები გამოიღო. მომეცადინეთა უმეტესობა IX კლასიდან შეუდგა ჩვეულებრივი პროგრამის ათვისებას.

აკ. დოკვაძე

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პროფესორი.

რედაქციისაგან: ავტორმა წერილთან ერთად რედაქციაში წარმოგვიდგინა ზემოხსენებული ბროშურა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. პირიქით, იგი ახლა უფრო საჭიროა იმ სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე, რაზედაც ყურადღებაა გამახვილებული განათლებისა და მეცნიერების მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში. აღნიშნული ბროშურის ხელახალი გამოცემა და სკოლებში დარიგება, ვფიქრობთ, კეთილ სამსახურს გაუწევდა პედაგოგებსა და მედიკოსებს.

ზურაბ ზვიადაურმა ოპერაცია გაიკეთა

გაწყვეტილი მენისკის ოპერაცია ჩაუტარდა 16 თებერვალს თბილისის №2 კლინიკურ საავადმყოფოში ოლიმპიურ ჩემპიონს ძიუდოში **ზურაბ ზვიადაურს.** ოპერაციის მსვლელობისას გამოჩნდა, რომ სპორტსმენს წინა ჯვარედინი იოგის ნაწილობრივი დაზიანებაც ჰქონია.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. მკურნალობის ყველა ხარჯები დაფარა სადაზღვევო კომპანია „ალდაგმა“, რომელიც სპონსორობას უწევს საქართველოდან 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს და პრიზიორებს. ამ სადაზღვევო კომპანიის სპონსორობა ახალ ოლიმპიურ ოთხწლეულშიც გრძელდება. მომავალი კვირიდან, მას შემდეგ, რაც ნაოპერაციებ მუხლზე ძაფებს მოხსნიან, ზურაბი მსუბუქ ვარჯიშს შეუდგება. მწვრთნელები ივნისში მის მონაწილეობას გეგმავენ ევროპის საკლუბო ტურნირში.

სერთიფიცირებული სტადიონები

სად ითამაშებენ ჩვენი კლუბები?

სფფ-ს გენ. მდივანმა, ფეხბურთის ფედერაციის კლუბების ლიცენზირების კომიტეტის თხოვნით კიდევ ერთი, მორიგი სხდომა გამართა და უმაღლესი ლიგის ექვსი კლუბის წარმომადგენელს და ორი სტადიონის ხელმძღვანელებს ლიცენზირების საკითხებზე გაესაუბრა. სხდომის მთავარი თემა კლუბებისა და სტადიონების ურთიერთობა იყო. დრო არ ითმენს, თებერვლის ბოლოს უეფაში იმ სტადიონების წარდგინებაა, რომლებზედაც ჩვენი კლუბები ევროთასების მატჩებს ჩაატარებენ. სადღეისოდ არცერთ კლუბს არ აქვს განსაზღვრული თუ სად ითამაშებს. უმთავრესი პირობა სტადიონების სერთიფიცირება და კლუბების მიერ მათთან ურთიერთობის მოგვარებაა. სტადიონები (ლაპარაკია, ეროვნულ, ლოკომოტივის სტადიონზე და ქუთაისის ცენტრალურ არენებზე) აუცილებლად სერთიფიცირებული უნდა იყოს და მოთხოვნებს ელემენტარულად უნდა აკმაყოფილებდეს. — იყოს სათამაშო მინდორი, გასახდელები, საშხაპეები, ტრიბუნები, ან კვანძები და ადგილები პრესის წარმომადგენლებისთვის. სტადიონის სერთიპიკატი გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 2 წლით ადრე. სადაც უეფას სპეციალური სახელმძღვანელოს მოთხოვნის მიხედვით აისახება მისი მდგომარეობა, უსაფრთხოების გარანტიები, ტევადობა, სველი წერტილების რაოდენობა და ექსპლუატაციის პირობები, რომელსაც დაამტკიცებს სპეციალური სამსახური. მთავარი ისიცაა, რომ კლუბებმა თავად უნდა გააფორმონ სტადიონებთან ხელშეკრულებები, განსაზღვრონ ურთიერთობის პირობები და ფორმები. სფფ-ს ლიცენზირების კომიტეტი კი მათ საჭირო რეკომენდაციებით შეეშველება, რათა ევროტურნირების დასაწყისისთვის ეროვნული პირველობის პრიზიორებს სათამაშო არენის უქონლობით პრობლემები არ შეექმნათ. სფფ იმ 32 ასოციაციათა შორისაა (52-დან), რომელთაც უეფამ ლიცენზირების განხორციელების უფლება მისცა და თუ კლუბებს, რომელთაც წესრიგში არ ექნებათ ლიცენზირების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტა-

იხ. მე-3 გვ.

ჩვენ, ჩვენი წარსულიდან მოვდივართ

სიმაღლეზე ხტომა მესხურად

„სიმაღლეზე ხტომისას მესხები იყენებდნენ არა ორ სვეტს შუა გაბმულ თამასას, არამედ თვით ადამიანებს. სამი-ოთხი კაცი მიჯრით შექმნიდა ბარიერს, ყველა მათგანი თავზე დაიდებდა მაღალ ბოხოხის ქუდს. მხტომელის მოვალეობა იყო ისე გადავლებოდა ცოცხალ ბარიერს, რომ ქუდები ძირს არ გადმოეგდო. შემდგომ ცდებზე ბარიერის შესაქმნელად გამოჰყავდათ უფრო ტანმაღალი ადამიანები და აშ.“ (ა. ციბაძის წიგნიდან „მხედართა შინა კადნიერნი“, თბ. 1980 წ).

მილოცვები

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ოლიმპიური თამაშების ორგზის (1968, 1972) ვერცხლის მედალოსანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **დიტო შანიძეს.**

X X X

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს მსოფლიო ჩემპიონს და პრიზიორს, ევროპის ექვსგზის ჩეპიონს, ოლიმპიური თამაშების ორგზის მეორე პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ **დიტო შანიძეს.**

X X X

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავს ამავე აკადემიის პრორექტორს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს წყალბურთში, ღირსების ორდენის კავალერს **გივი ხუროშვილს.**

რამდენი წლისაა ქართული ფეხბურთი?

ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობას, ბოლოს და ბოლოს, წერტილი უნდა დაესვას და არც კითხვა უნდა დარჩეს პასუხგაუცემელი. დრო გადის, მერე და მერე, ალბათ უფრო გაძნელდება ჭეშმარიტების დადგენა, რადგან ახლა ჯერ კიდევაა შესაძლებელი თითქმის საუკუნეს მიღწეულ ვეტერან ფეხბურთელთა და სპორტის მუშაკებიდან ბევრი საინტერესო ინფორმაციის მიღება. ამასთან, არ არის გამორიცხული, ქართული ფეხბურთის მოყვარულთა კერძო კოლექციაში ინახებოდეს რაიმე ხელშესახები დოკუმენტი, რომელიც დიდად გამოადგება კვლევის პროცესს.

„ლელო“ — „ქართული ფეხბურთის“ რედაქციაში შეიქმნა ქართული ფეხბურთის ასაკის დამდგენი საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანება ყველა მსურველს შეუძლია. შეგვეხმიანეთ, მოგვწერეთ, დაგვირეკეთ!

საკონტაქტო ტელეფონებია 99-56-14. 899 55 48 97.

თანამეგობრობის მეორე თამაშებზე მივდივართ!

მონაწილეობა საეჭვო აღარ არის, რადგან მზადებისა და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება თბილისის სპორტის სამსახურმა ითავა გიორგი უდესიანის ხელმძღვანელობით.

ივნისის მეორე ნახევარში რუსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის და ბალტიის ქვეყნების რიგით მეორე ახალგაზრდულ თამაშებს უმასპინძებს. ანალოგიური პირველი თამაშებიც 2002 წელს რუსეთში ჩატარდა, ოღონდ, მხოლოდ მოსკოვში, ამჯერად კი შეჯიბრება უფრო ფართო მასშტაბებს შეიძენს და სხვადასხვა ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში და მოსკოვის გარეუბნებში გაიმართება.

ახალგაზრდული თამაშები სპორტის თითქმის ყველა სახეობაში ჩატარდება, ამდენად ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან გათამაშებაში უამრავი იუნიორი მიიღებს მონაწილეობას.

ახალგაზრდული თამაშების დაწყებამდე, მართალია, საკმაო დროა დარჩენილი, მაგრამ ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც თადარიგი დაიჭირეს და აქედანვე შეუდგნენ მზადებას. კერძოდ, თბილისის სპორტის სამსახურის თაოსნობით, რომელიც ქართული დელეგაციის მომზადების და თამაშებზე გამგზავრების მთავარი კურატორია, სხვადასხვა ფედერაციების ხელმძღვანელებთან და მწვრთნელებთან პირველი სამუშაო შეხვედრა შედგა. განიხილეს ყველა ის საკითხი, რომელიც ხელს შეუწყობს საუკეთესო სპორტსმენთა შერჩევას და მათ მაღალ დონეზე მომზადებას. თბილისის სპორტის სამსახურის უფროსის **გია უდესიანის** ხელმძღვანელობით, შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა, რომ საქართველოს ნაკრები სპორტის 12 სახეობაში მიიღებს მონაწილეობას, ძირითადად, სადაც სტაბილური და მაღალი შედეგების მიღწევაა შესაძლებელი. სავარაუდოდ, პირველადი გათვლით, საქართველოს დელეგაცია 180 კაცით დაკომპლექტდება. საუკეთესოთა ვინაობა შიდა ჩემპიონატებში შეჯიბრებებით გაირკვევა და საბოლოო შემადგენლობაც მას შემდეგ გაირკვევა.

„ლელო“ – „გუმათი“.

სტუ გალიდერდა



კალათბურთი ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

თელავში გამოიდარა, უფრო სწორად, გზებზე მოძრაობა გაცილებით უსაფრთხო გახდა და ადგილობრივმა „ბურჯმა“ განაახლა საშინაო შეხვედრები სტუმრებთან. ამჯერად თელავს „თუჯი“ ეწვია. კახეთში ყოველთვის დიდი ინტერესით მოელიან ჩემპიონატის მატჩებს. მერე რა რომ „ბურჯს“ 16 შეხვედრიდან სულ მხოლოდ ორი თამაში აქვს მოგებული. თელაველები იმედს არ კარგავენ, რომ დებიუტანტი, ბოლოს და ბოლოს, გაამართლებს მათ იმედებს.

გუშინ: „დინამო“ – სტუ

მატჩი დაძაბული გამოდგა. რუსთაველები თავიდანვე შეეცადნენ მარაგის შექმნას და ეს მოახერხეს კიდეც — პირველი მეოთხედი 7 ქულით მოიგეს — 27:20, მეორე მეოთხედი ფრედ 26:26 დასრულდა, მესამეში ისევ „თუჯმა“ იყოჩაღა — 26:21, ბოლო მეოთხედი კი მასპინძლებმა ორი ქულით მოიგეს — 29:27 და ერთგვარი სიხარული მოუტანეს თავის ქომაგებს. საბოლოოდ თელაველებმა თამაში 96:105 დათმეს.

გუშინ, თბილისში ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია „დინამო“ — სტუ-ს დაპირისპირებამ. სტუ მოგების შემთხვევაში გალიდერდებოდა. ეს, ცხადია, კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული სტუდენტებს და მათ თავკაცს **ნუგზარ ჭეიშვილს.** რაღა თქმა უნდა, პრინციპულ მატჩს თავისი სრული „შეიარაღებით“ შეხვდა „დინამოც“.

თავიდან დაწინაურდნენ დინამოელები, ისინი წინ 12 ქულითაც გაიჭრნენ, მაგრამ უპირატესობას განმტკიცება-შენარჩუნება არ ეწერა. სტუდენტებმა ჩინებული, გააზრებული, მწყობრი თამაში აჩვენეს და საბოლოოდ სწორედ 12 ქულის უპირატესობით სძლიეს მრისხანე მეტოქეს — 83:71. ამ გამარჯვებით ჩემპიონატის ცხრილის სათავეში სტუ მოექცა, რომელსაც ახლა 32 ქულა აქვს. გუშინვე „ავიამშენი“ თსუ-ს უნდა შეხვედროდა, მაგრამ სტუდენტები თამაშზე არ გამოცხადდნენ.

ირაკლი სარალიძე

14-წლამდელებიც ჩაებნენ...



თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს საქართველოს 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა ჩემპიონატი.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში 80 მონაწილეა. 3 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (3) დაწინაურდნენ დავით ბენიძე, ბექა შოშიაშვილი, ზურაბ ჯავახაძე, თეიმურაზ ჭოლაძე, ლუკა პაიჭაძე და გიორგი ნიკოლაშვილი.

გოგონებში (34 მონაწილე) 2,5 – 2,5 ქულით პირველ-მეექვსე ადგილებს იყოფენ თამარ სამანიაშვილი, სოფიკო გურამიშვილი, ნაზი პაიკიძე, ქეთი ცაცალაშვილი, სალომე ხაჟომია და ელისაბედ ზარქუა.

აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ შეჯიბრებების დირექტორია ზურაბ ტყებუჩავა, მთავარი მსაჯი — ევგენი მელიქსედბეგი. ტურნირები 23 თებერვლამდე გასტანს.

აწმყო, შობილი წარსულისაგან...

ალვადგინოთ ტრადიცია

სამოციანი წლების დასაწყისში გაზეთ „თბილისის" რედაქციის ხშირი სტუმარი გახლდათ შორეული ცურვის თევზსაჭერი ერთ-ერთი გემის კაპიტნის მოადგილე, საკმაოდ განათლებული მწერალი როდამ ჩაჩანიძე. იგი ადგილობრივ ჟურნალისტებთან მეგობრობდა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში გამართული რეწვის შემდეგ ბევრ საინტერესო ამბებს გვიამბობდა. მახსოვს, ბრაზილიის ნაპირებისაკენ მიმავალს ვთხოვე აუცილებლად დაეთვალიერებინა მსოფლიოში უდიდესი „მარაკანას" სტადიონი და ყოველივე ამის შესახებ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მოეთხრო ჩვენთვის. ბატონმა როდამმა ჩვენი თხოვნა შეასრულა და რიო-დე-ჟანეიროდან დაბრუნებულმა ბევრი საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა. მან აღნიშნა თუ რა დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ეპყრობიან ბრაზილიელები წარსული საუკუნის ფეხბურთის ვარსკვლავების ლეგენდარულ ლეონიდასს, ბალტაზარს, ადემირ დე გუიას და სხვა გამოჩენილ სპორტსმენების ხსოვნას. „მარაკანას" მუზეუმში დაცულია მათი ვეებერთელა ფოტოსურათები, რომლებსაც ტურისტები დიდი ინტერესით ათვალიერებენ. გიგანტური სტადიონის შესასვლელში წამომართულია XX საუკუნის ლეგენდარული მარჯვენა გარემარბის, ხალხის „მწარე სიხარულის" მანე გარინჩას დიდებული ქანდაკება. იყო დრო, როდესაც ბრაზილიელების მსგავსად ვეტერანი სპორტსმენების პატივსაცემად ჩვენს ქვეყანაშიც ეწყობოდა საიუბილეო შეხვედრები. ჩინებულად მახსოვს ის დღეები, როდესაც ამა თუ იმ გამოჩენილ ხელოვნებისა და სპორტის დამსახურებულ ადამიანებს დიდი სარბიელიდან გაცილების შესანიშნავ საღამოებს უწყობდნენ. არ დამავიწყდება ბორის პაიჭაძის, სლავა მეტრეველის, ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრიას, მიხეილ მესხის და სხვა სუპერ-ვარსკვლავთა საზეიმო შეხვედრები. ეს ჩინებული ტრადიცია კომუნისტური ეპოქის ხანაში დამკვიდრდა. თითოეული ასეთი საღამოების მოწყობაში აქტიურად მონაწილეობდა მაშინდელი ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის, პროფკავშირულ საზოგადოებათა ხელმძღვანელები, ჟურნალისტები და მთავრობის წარმომადგენლები. ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი ჩინებული ტრადიციები დღეს მოიშალა. დღევანდელი სპონსორები და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები არ არიან დაინტერესებულნი ჯეროვანი პროპაგანდა გაუწიონ ვეტერან ფეხბურთელებს, მოკრივეებს, წყალბურთელებს, კალათბურთელებს, ჩოგბურთელებს, მოჭიდავეებს, მათ მწვრთნელებს, ვეტერან მსაჯებს და სპორტულ ჟურნალისტებს. გვინდა შევნიშნოთ, რომ ასეთი პირობების მიუხედავად, აქა-იქ მაინც შემორჩნენ პრესისა და რადიოს მუშაკები, რომლებიც მძიმე ეკონომიური პირობების მიუხედავად მაინც ცდილობენ ჯეროვანი პატივი მიაგონ ჩვენი სახელოვანი ვეტერანების ნამოღვაწარს. ამ მხრივ მინდა პირველ რიგში მოვიხსენიო ქართული სპორტული ჟურნალისტიკის პიონერი გაზეთი „ლელო" (რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე), გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" (რედაქტორი რუსლან რუსია), გაზეთი „ვეჩერნი თბილისი" (რედაქტორი ვადიმ ანასტასიადი), გაზეთი „სარბიელი" (რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია) და რამდენიმე სხვა. მოძმე ჟურნალისტთა ამ ჩინებულ ტრადიციას არ ივიწყებს საქართველოს რადიოს პირველი არხის კოლექტივიც, რომელიც ყოველ კვირას საკმაოდ დიდ დროს უთმობს ვეტერან სპორტსმენთა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღების აღნიშვნას. სულ ახლახან, ჩვენს მიერ ზემოჩამოთვლილმა მასმედიის წარმომადგენლებმა საკმაოდ კარგად გააშუქეს გასული საუკუნის თბილისის „დინამოს" ლეგენდარული ფეხბურთელის გაიოზ ჯეჯელავას დაბადების 90 წლის იუბილე. გვინდა მადლობა გადავუხადოთ რადიოს პირველი არხის მუშაკებს ქალბატონ მაია კრაწაშვილსა და ბატონ ილია მხეიძეს.

ვეტერან სპორტსმენთა მიერ გავლილი გზის გაშუქებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ცნობილ საზოგადო მოღვაწეებსა და მასმედიის წარმომადგენლებს, პროფესორებს, გულბათ ტორაძეს, გივი გამრეკელს, ოთარ მიმინოშვილს, ისტორიკოს დურმიშხან ცინცაძეს, სპორტული მედიცინის ცნობილ მუშაკს რომანოზ სვანიშვილს, გურამ ჩხიკვაძეს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ვეტერან ჟურნალისტს ანზორ ბასილაიას, ამ სტრიქონების ავტორსა და მრავალ სხვას.

წინ მრავალი მნიშვნელოვანი თარიღია აღსანიშნავი. 29 მარტს, წინა საუკუნის კიდევ ერთ ლეგენდარულ ფალავანს, თავისუფალ ჭიდაობაში პირველ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს დავით ციმაკურიძეს 80 წელი უსრულდება. 80 წლის იუბილეს აღნიშნავს თეატრალური და სპორტული საზოგადოება რუსთაველის თეატრის საყვარელი მსახიობის ეროსი მანჯგალაძის პატივსაცემად. ეჭვი არაა, რომ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სპორტის დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და სხვები შეეცდებიან მაღალ დონეზე აღნიშნონ ღვაწლმოსილ ადამიანთა საიუბილეო თარიღები.

შალვა ძირია
ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი.

შალვა (შაკო) ქურციკიძე – 60

ქუთათურები საქართველოში სპორტში ღვაწლმოსილი ადამიანების ღირსეულად დაფასების კანონმდებლებად შეიძლება ჩაითვალონ. ამ დასკვნაში გადაჭარბებული ნამდვილად არაფერია. ქართული სპორტის ადგილისდედად მიჩნეულ ქალაქში, ბევრ საამაყო პიროვნებას უცხოვრია და ცხოვრობს. ერთ მათგანს, როგორც მოსაწვევ ბარათში ვკითხულობთ: „ქუთაისის კოლორიტ პიროვნებას, ქუთაისზე უზომოდ შეყვარებულ კაცს, ღირსეულ მოქალაქეს, თავდადებულ მეგობარს, ქართული რაგბის პატრიარქს, ქუთაისში რაგბის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ქუთაისის რაგბის ფედერაციისა და ვეტერან მორაგბეთა კავშირის პრეზიდენტს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ შალვა (შაკო) ქურციკიძეს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა".

საიუბილეო თარიღი 15 თებერვალს აღნიშნა მშობლიურმა ქუთაისმა. იუბილეზე თავი მოიყარეს არა მხოლოდ ამ ქალაქის მორაგბეთა თაობებმა, არამედ, ვეტერანებმა თბილისიდან, საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირის პრეზიდენტის **ირაკლი კიზირიას** თავკაცობით.

დავძენთ, რომ შ. ქურციკიძე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია ლელობურთსა და რაგბში, გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი (I ლიგა), სსრ კავშირის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი (უმაღლესი ლიგა), დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით".

„ლელოს" რედაქცია უერთდება ყველა იმ მილოცვას, რომელიც შ. ქურციკიძემ ამ დღეებში მიიღო.

განცხადება

იმისათვის, რომ უფრო გაიოლებული და ხელმისაწვდომი გავხადოთ რეგიონებიდან „ლელოს" ფურცლებზე სხვადასხვა შინაარსის განცხადებების, მათ შორის მისალოცი და სამგლოვიარო ტექსტების, ნეკროლოგების და ა.შ. გამოქვეყნება, ამიერიდან მსურველს შეუძლია ამის შესახებ გვაცნობოს ტელეფონით: 99-56-14, ან 899.55.48.97, ხოლო საფასური გადაიხადოს უნაღდო ანგარიშსწორებით (გადარიცხვით) შემდეგ საბანკო ანგარიშზე: გ ქ ბ მთაწმინდის განყოფილება ანგ. №016467589; კოდი: 22010166; საიდენ. კოდი. 203826075. შპს გაზეთი „ლელო".

გოგონებმაც ხელი ხმალს იკრეს...

გუშინწინ თბილისის ფარიკაობის დარბაზში დასრულდა საქართველოს პირველობა ფარიკაობაში ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. ასპარეზობა მიზნად ისახავდა დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების მეორე ახალგაზრდული თამაშებისთვის ჩვენი ნაკრები გუნდის დაკომპლექტებას. მონაწილეობდა თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის და რუსთავის 110 მოფარიკავე.

კვარცხლბეკი. რაპირა. გოგონები: 1. მადონა ჩაბრაძე, 2. ნატო კობიაშვილი (ორივე — თბ), 3. თინა ბოლქვაძე და ზეინაბ ჭელიძე (ორივე — აჭ); **ჭაბუკები:** 1. გიორგი გრიგოლია (აფხ), 2. ლევან ჯიქია, 3. სანდრო სიხარულიძე და რომან ლომიძე (სამივე — თბ); **დაშნა:** გოგონები: 1. ალექსანდრა ანანიაშვილი (აჭ), 2. ნათია ჩაჩხიანი (ქუთ), 3. ნატო ხრიკინა (თბ) და ანა კოსტავა (ქუთ);

ჭაბუკები: 1. ანდრეი აკაევი (აჭ), 2. გიორგი სილაგაძე, 3. ჯემალ ჯიქია (ორივე — თბ) და დავით არველაძე (ქუთ); **ხმალი – გოგონები** (ჩატარდა პირველად): 1. ანა ფორჩხიძე, ნათია ასათიანი, თეონა ყვავაძე და ლელა ხიჯაკაძე (ყველა — ქუთ); **ჭაბუკები:** 1. დავით მთვარელიძე, 2. ნიკოლოზ ბახსოლიანი, 3. გიორგი ბახსოლიანი (სამივე — თბ), ლაშა მიქელაძე (აჭ).

ც. ბაძრაძე

ბავშვთა ფეხბურთი

„იბერია" — ორჯერ ზედიზედ!

როცა გუნდი ზედიზედ ორჯერ იმარჯვებს თანატოლთა ტურნირში, რომელშიაც ოცზე მეტი გუნდი იბრძოდა წარმატებისთვის, ეს უკვე ბევრს ნიშნავს. „იბერიამ" ეს შეძლო და ზედიზედ მეორედ დაეუფლა ოთარ გოგოლაშვილის ხსოვნის მთავარ პრიზს 1993-1994 წლიანთა ასპარეზობაში. ნახევარფინალში ოთხი გუნდი გავიდა. „ოლიმპიკი" შეხვდა „ოლიმპს", „იბერია" კი „ოლიმპის" მეორე გუნდს. ფინალში „იბერია" და „ოლიმპი" გავიდა. 2-1 გაიმარჯვეს ნორჩმა იბერიელებმა და თასს მეორედ დაეუფლნენ. ტურნირი სპორტის აკადემიის ხელოვნურსაფარიან მოედანზე გაიმართა.

საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა სერგო ქავთარაძე, მცველად — გიორგი ყაველაშვილი (ორივე — „იბერია"), მეკარედ — ლევან ჩიქოვანი, თავდამსხმელად — სერგო მაჭარაშვილი (ორივე — „ოლიმპი").

სურათზე: „იბერია". I რიგში (მარცხნიდან): აკაკი ხაიაური, ზურა ბერიანიძე, კოკა ნიქაბაძე, სერგო ქავთარაძე, ელგუჯა გუზიტაშვილი (მწვრთნელი), ლევან კოშაძე, ლაშა ბიბილაშვილი, ვახტანგ ლომიშვილი, გიგი თაბორიძე; II რიგში: ილია მელვინიშვილი, ნოდარ თურქაძე, გიორგი ყიფშიძე, გიორგი კობონსიძე, ოთარ ხუციშვილი, გიგა გიგაური, გიორგი ყაველაშვილი, შალვა ყურაშვილი, ზაზა ბერიძე, მიხეილ ხაჩიძე.

სად არ წაგიყვანს ბედი შენი!

„ლელოს" რედაქციას!

ვარ საქართველოს მოჭადრაკეთა სტაჟიანი გულშემატკივარი. ბოლო ხანებში არაფერი მსმენია ოჩამჩირელ ქეთევან არახამიაზე. გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით (ფოსტას ვერ ვენდობით) გვიპასუხოთ სად არის ამჟამად ქეთევან არახამია და რას საქმიანობს?

მიხეილ მუმლაძე, პენსიონერი, ქუთაისი.

რედაქცია დაუკავშირდა ჩვენი გაზეთის ვეტერან თანამშრომელს, ცნობილ ჟურნალისტს და მოჭადრაკეს, საჭადრაკო თემაზე ათეულობით წიგნის ავტორს თენგიზ გიორგაძეს და სთხოვა ეპასუხა ჩვენი ქუთაისელი მკითხველისთვის.

აქვე გთავაზობთ თენგიზ გიორგაძის წერილს, რომელშიც ვრცლადაა აღწერილი ქეთევან არახამიას საჭადრაკო და პირადი ცხოვრება, რაც, ვფიქრობთ დააკმაყოფილებს როგორც შეკითხვის ავტორს, ისე ჭადრაკის ბევრი მოყვარულის ინტერესს.

ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც ბავშვობიდან გამორჩეული ნიჭი დაჰყვება და მის გამომზეურებას შეძლებს. ამის შესანიშნავი მაგალითია აფხაზეთის პირველი, და ჯერჯერობით ერთადერთი, საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში ქეთევან არახამია.

მდიდარი და წარმატებული სპორტული მოღვაწეობის გზა განვლო ქეთევანმა. ეს გზა მან დაიწყო ოჩამჩირეში, სადაც 1968 წლის 19 ივლისს დაიბადა აგრონომ რევაზ არახამიას ოჯახში. ჭადრაკის ანბანს რომ ეზიარა, ოჩამჩირელმა, ამჟამად საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა რენცო ჰედიამ თავგამოდებული მეცადინეობით და ზრუნვით ნიჭიერი გოგონა დიდი ჭადრაკის სარბიელზე გაიყვანა. თავიდანვე ქეთევანმა ყველა გააოცა, როცა ზედიზედ, 1983 და 1984 წლებში საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ქალთა შორის. მაშინვე მას სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. 1985 წელს ქეთევანმა ქვეყანა აალაპარაკა. იგი გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა და საერთაშორისო ოსტატის წოდება უბოძეს. აქედან დაიწყო ქეთევან არახამიას თავმოსაწონი აღმასვლა დიდ ჭადრაკში.

ამ დროიდან ხშირად ვხვდებით ქეთევანს საერთაშორისო სარბიელზე. იგი იმარჯვებს თბილისის 1985 და 1986 წლების, ჰავრის (საფრანგეთი) 1987 წლის საერთაშორისო ტურნირებში, 19 წლის ქეთევანს ფიდე (საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია) საერთაშორისო დიდოსტატის წოდებას ანიჭებს.

დიდი დატვირთვის მიუხედავად, ბეჯითი ქეთევანი წარმატებით ამთავრებს თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტს.

დიდი სპორტული მიღწევებით აღინიშნა ქეთევანის მოღვაწეობა 1990 წელს. იგი მესამედ ხდება საქართველოს ჩემპიონი (ტურნირში მონაწილეობდნენ ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი და სხვ.), პირველად საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და საქართველოს ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში მსოფლიოს ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი. ამ შეჯიბრებაში ქეთევანმა ოლიმპიადების რეკორდი დაამყარა: თავის დაფაზე თორმეტივე შეხვედრა მოიგო!

მაგრამ დადგა საქართველოსთვის ავბედითი 90-იანი წლები, ქეთევანის ოჯახი თბილისში ლტოლვილი აღმოჩნდა. თავად კი ევროპაში გაემგზავრა, რომ დიდ ტურნირებში მონაწილეობით ამოღებული ჯილდოებით ოჯახს დახმარებოდა. იგი ბევრს თამაშობს. აღსანიშნავია, რომ მონაწილეობს მსოფლიო ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადებში. მოსკოვში, ერევანში და ელისტაში, ოქროსა და ვერცხლის ორ მედალს ეუფლება. ამ მიღწევებისთვის ქეთევანი თანაგუნდელებთან ერთად ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

დიდი აღიარება იყო, როცა 1992 წელს ქეთევანი მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანთან ერთად მიიწვიეს პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში — „დიდი ჯენტლმენების წინააღმდეგ". ეს უჩვეულო ტურნირი ჰოლანდიელმა მილიონერმა „მ. ეივეს სახელობის ასოციაციის" პრეზიდენტმა იოპ ვან ოსტერომმა შემოიღო. ქეთევანმა ორჯერ (1996, 1997 წწ) მოიგო ეს მაღალი რანგის ასპარეზობა. აქ მას მეტოქეებთან გამოჩენილი დიდოსტატი-ვაჟები ჰყავდა. ფარ-ხმალი ბევრ მათგანს დააყრევინა — ვ. სმისლოვს, ბ. სპასკის, ე. ველერს, ბ. ივკოვს, ლ. პორტიშს და სხვებს. რა გასაკვირია, რომ ფიდე-მ ქეთევანს ვაჟთა შორის საერთაშორისო ოსტატის წოდება უბოძა.

ასეთია ძირითადად ქეთევან არახამიას საჭადრაკო კარიერა, რომელიც დღესაც გრძელდება.

1996 წლიდან ქეთევანი შოტლანდიაში ქალაქ ედინბურგში ცხოვრობს, თუმცა, საქართველოს მოქალაქედ რჩება. იგი იშვიათად ჩამოდის თბილისში. ბოლოს იყო 1999 წელს, როცა ბათუმში ევროპის გუნდურ პირველობაში მონაწილეობდა.

ჩვენ შევხვდით ერთმანეთს. გთავაზობთ მის ნაამბობს.

„— იმ ევროპაში „ხეტიალში", ახლოს გავიცანი შოტლანდიელი ჯონათან გრანტი. 1996 წელს ცოლად გავყევი და მის მშობლიურ ედინბურგში დავსახლდი. გვყავს ქალიშვილი ელენე. ჯონათანი მოჭადრაკე არ არის. იგი სადაზღვევო კომპანიაში მუშაობს, მაგრამ ძალიან უყვარს და ახლოსაა ჭადრაკთან. უკვე რამდენიმე წელია შოტლანდიის ნაკრები გუნდის კაპიტანია. ამიტომაც ბათუმში მახლავს. ჩვენ ერთად ვიყავით ერევანში საჭადრაკო ოლიმპიადაზე. მას ძალიან მოსწონს საქართველო, თბილისი, განსაკუთრებით, ქართული კერძები, მათი გემო და, წარმოიდგინეთ, სიცხარეც. შოტლანდიელებმა არ იციან წიწაკიანი საჭმელები, ჯონათანი გააოცა ჩვენმა ჭადრაკის სასახლემ. სხვათა შორის, ქართულსაც სწავლობს. დავდივართ ექსკურსიებზეც, ექვსჯერ ვიყავით ჯვარზე. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უფლისციხის დათვალიერებამ.

როგორც იცით, ორი და მყავს დევნილობაში. ერთი ექიმი, ლილი, ნიუ-იორკშია, მეორე — ნინო, ლონდონშია გათხოვილი. ჩვენი მშობლები გვეწვევიან ხოლმე სტუმრად.

ახლაც მოუსვენარი საჭადრაკო ცხოვრება მაქვს. ამიტომ ედინბურგში ყოველთვის შინ არა ვარ. ჩემიანები არ მსაყვედურობენ, რადგან ესმით ჩემი როგორც მოჭადრაკე-დიდოსტატის, მოვალეობა. სიმართლე რომ ვთქვა, ძალიან მიყვარს ოჯახური მყუდროება, ამიტომ ბოლო დროს მხოლოდ დიდ ტურნირებში ვმონაწილეობ. მყავს ქართველი მეგობარი — მარინა ადამია, მუსიკოსი, კომპოზიტორი, რომელიც ათი წელია ედინბურგელთა რძალია. იგი ხშირადაა თბილისში. გვახარებს, რომ ედინბურგის თეატრალურ ფესტივალზე ქართული თეატრებიც მონაწილეობენ. 1995 წელს ჩამოსული იყვნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები. და მაინც, ხშირად ოცნებით საქართველოში ვარ. თვალწინ მიდგას მშობლიური ოჩამჩირე!"

თენგიზ გიორგაძე
საერთაშორისო არბიტრი,
ოსტატი ჭადრაკში.



ჩემპიონატი მესამე წრეზე წავიდა

დღეს, ეროვნული პირველობა განახლდება. ქუთაისში, ფოთში, გორში, ზესტაფონსა და თბილისში უმაღლესი ლიგის გათამაშების მესამე წრის მეცხრამეტე ტურის ხუთივე მატჩი გაიმართება. ქვეყანაში ცოტათი დათბა, სიცივემ და სუსხმა უკან დაიხია და ეროვნულ ჩემპიონატს დანატრებულ გულშემატკივრებს დღეიდან მაისის ბოლომდე საქმაგო არ გამოელევათ. ათი გუნდი შარშან, ზაფხულში დაწყებულ პაექრობებს ისევ გააგრძელებს და თვრამეტი ტურის შემდეგ საქართველოს ჩემპიონს მეთექვსმეტედ გამოავლენს. თითქმის, ორ თვეზე მეტხანს გასტანა არდადეგებმა, მაგრამ თითქოს, მცირე ხანმა, კლუბებში ბევრი რამ შეცვალა, უპირველესად — შემადგენლობებში. თბილისის „დინამომ“ ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი ოსურ „ალანიაში“ გაასხვისა. კონკურენტ კლუბებში გაუშვა უმთავრესი მოთამაშენი ქუთაისის „ტორპედომ“, თითქმის მთელი შემადგენლობა ტრანსფერზე დააყენა „თბილისმა“ და განახლებულ სეზონში მიღწეულის შენარჩუნებას და ფონს გასვლას ახალგაზრდებით შეეცდება. რამდენიმე კლუბმა საწვრთნელი შეკრება საკმაოდ ნაყოფიერად გამოიყენა. შესამჩნევად გაძლიერდა „ზესტაფონი“, რაც „დინამოსთან“ სათასო მატჩმა ნათლად წარმოაჩინა და ახლა იმერელთა გუნდი ყველასთვის ანგარიშგასაწევ კლუბად ჩამოყალიბდა. დაკომპლექტდა და ახალი სპონსორი შეიძინა ბათუმის „დინამომ“. გამოცდილი სპეციალისტის ხელში თვალებში გამოიხედა ფოთის „კოლხეთმა“, მაგრამ ჩემპიონატის დასაწყისში კოლხებმა იმდენი ქულა გაფანტეს, რომ დანაკარგის ანაზღაურება დარჩენილ მატჩებში გაუჭირდებათ. პირველობის უპირობო აუტსაიდერები „სიონი“ და „დილა“ ფსკერიდან ამოსვლას საკუთარი ძალებით შეეცდებიან, მაგრამ კლუბებში გაჭიანურებულმა კრიზისმა მოსამზადებელ ეტაპსაც დაასვა დაღი. ლეგიონერებით და კარგი ფეხბურთელებით შეივსო თბილისის „ლოკომოტივი“, ახალი-ძველი იტალიელი მწვრთნელის დამოძღვრილები ჩაებმებიან ჩემპიონატში ვიტელები, ალბათ, ორივე თბილისური გუნდი მაღალი ადგილებისთვის და უეფას ტურნირების საგზურებისთვის იბრძოლებს.

დღეიდან სტარტი მიეცემა ქართული საკლუბო ფეხბურთის უმთავრეს ტურნირს. ათივე გუნდი შეჯიბრებას საკუთარი სატკივრით, ფიქრით და იმედით ხვდება. სატურნირო ვითარებაც ისეთია — არავინ მოიწყენს. მოკლედ, ზოგნი დასუსტდნენ, ზოგნი მოძლიერდნენ, ვინ შეინარჩუნებს ლიდერობას, ვინ დაუძვრება სახიფათო ზონას, ვინ დაკმაყოფილდება მიღწეულით, ამას გაზაფხულზე შევიტყობთ.

რაც შეეხება სასტარტო ტურს, ხუთივე მატჩი თავისებურ ინტრიგას მოიცავს. ჩემპიონატის ორივე ლიდერი შინ ითამაშებს. „ტორპედო“ „ლოკომოტივს“ უმასპინძლებს, თბილისის „დინამო“ ბოლნისის „სიონს“ მიიღებს. ახალი სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩში თავგამოჩენილი „ზესტაფონი“ ისევ შინ, პირველობის მესამე გუნდს „თბილისს“ დაუხვდება. კოლხები და ვიტელები უძლიერესს ფოთში გამოავლენენ, გორის „დილა“ კი ბათუმის „დინამოს“ შინ ეპაექრება. აქვე გთავაზობთ ზოგიერთი გუნდის განაცხადს.

საქართველოს XVI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

თბილისი

მეკარეები: სოსო გრიშიკაშვილი, რევაზ თევდორაძე;

მცველები: ბესიკ მიქიაშვილი, გიორგი ლოლაძე, გივი კვარაცხელია, რევაზ ქემოკლიძე, გედევან დარასელია;

ნახევარმცველები: მიხეილ მესხი, თორნიკე აფციაური, გიორგი მიქელაძე, შოთა ჯიქია, გაგა ბოჭოიძე, გოგიტა გოგუა, გიორგი ფოფხაძე, დავით ქლენტი;

თავდამსხმელები: სანდრო იაშვილი, რევაზ ბარაბაძე, გოგა ფიფია, გიორგი ბერიშვილი.

ვიტ ჯორჯია (თბილისი)

მეკარეები: სერგო ჰურაძე, გრიგოლ ბედიაშვილი, მიხეილ მუჯრიშვილი;

მცველები: დავით იმედაშვილი, დავით ლომაია, თენგიზ კობიაშვილი, აკაკი ქუხილავა, გიორგი კვახაძე, ალექსანდრე ინწკირველი, დავით აბშილავა, ლექსო კვახაძე;

ნახევარმცველები: რადიონ ცხომარია, გიორგი ფეიქრიშვილი, ლუკა რაზმაძე, ლაშა მანწკავა, ირაკლი მალიჩავა, ლევან კვარაცხელია, დავით დიღმელაშვილი, პაატა დათუნაიშვილი, ოლეგ გველესიანი, გიორგი დათუნაიშვილი;

თავდამსხმელები: დავით ჩილვინაძე, გიორგი ნათიძე, ვლადიმერ გოჩაშვილი, ზაზა სახოკია, ერეკლე მერებაშვილი, ოთარ მარცვალაძე, ირაკლი ებანოიძე.

კოლხეთი (ფოთი)

მეკარეები: ზურაბ ბათიაშვილი, გიზო შენგელია, ბიძინა ჩემია.

მცველები: ზურაბ მინდაძე, კახა გოროზია, ზაზა ცქიფურიშვილი, ჯონი შალამბერიძე, ილია ქუტიძე, დავით ჰითანავა, ტარიელ ყურაშვილი, მალხაზ ძოძუაშვილი, ნოშრევან ნარსია;

ნახევარმცველები: მიხეილ ქობულაძე, მიხეილ თაყაძე, თოდუა, ზურაბ შველიძე, ვ. კუნჭულია, ლევან ხიზანიშვილი, გიორგი კილასონია, ირაკლი კვარაცხელია, დავით ნარსია, ედიშერ მარგალიტაძე, ლევან აკობია;

თავდამსხმელები: კოკა მიკუჩაძე, ლევან მელიქია, პეტრე ლებანიძე, ზვიად ქუთათელაძე, გოჩა ტყებუჩავა, ლევან ვართაგავა.

დინამო (ბათუმი)

მეკარეები: რამაზ სოლოლაშვილი, ირაკლი ბალაძე;

მცველები: ნიკა გუშარაშვილი, დავით გალოგრე, ბეგლარ თედორაძე, შალვა ხუჯაძე, ვანო მახარაძე, დავით გოგიშვილი;

ნახევარმცველები: ბესიკ თედორაძე, გიორგი მანწკავა, პაატა ჩოხელი, ვიტალი დარჩიძე, ავთანდილ ღლონტი, ირაკლი ცანავა;

თავდამსხმელები: ავთანდილ ხარაზი, გიორგი ნოდარის ძე ჰელიძე, ლევან ხომერიკი, დიმიტრი ფირცხალაიშვილი.

ლოკომოტივი (თბილისი)

მეკარეები: ზვიად სტურუა, დავით გვარამაძე;

მცველები: მიხეილ მახვილაძე, ნუკრი მანჩხავა, გიორგი ონიანი, ზურაბ ექონია, ჰიჰიკო თუთბერიძე;

ნახევარმცველები: დაჩი ფოფხაძე, ლაშა ქებაძე, თენგიზ სიჭინავა, როინ ონიანი, ლაშა კირვალიძე, გიორგი ალავერდაშვილი, გიორგი სეთურიძე, რამონ დე ანაია, ჟუან კარლოს ფრანსისკო დო ამარალი, ლევან სანიკიძე, ალექსანდრე გოგობერიშვილი, ლაშა ჩხაიძე, გიორგი მაკაროვი;

თავდამსხმელები: ზურაბ ავალიანი, ირაკლი სირბილაძე, მიხეილ ზობოხიძე, გიორგი კახელიშვილი.

მსაჯები, ინსპექტორები

უმაღლესი ლიგა. XIX ტური. III წრე. 18 თებერვალი

ტორპედო – ლოკომოტივი. მსაჯები — ლ. ფანიაშვილი გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე, ჯ.ბუიშვილი, ინსპექტორი — ბ. ქარქაშაძე.

კოლხეთი – ვიტჯორჯია. მსაჯები — ა. კრიჭაშვილი, მ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე, პ. დოგრაშვილი, ინსპექტორი — გ. ძამუკაშვილი;

დილა – დინამო (ბთ). მსაჯები — ლ. სილაგავა, კ. გაბრიაძე, ზ. ხუციშვილი, ა. ორდინიძე, ინსპექტორი — ო. გუნთაძე;

ზესტაფონი – თბილისი. მსაჯები — მ. მაისურაძე, გ. ცირდავა, ზ. მენთეშაშვილი, გ. ვადაჭკორია, ინსპექტორი — ვ. ბარქაია;

დინამო (თბ) – სიონი. მსაჯები — ზ. ანიაშვილი, ა. ნონიკაშვილი, მ. ელიკაშვილი, ლ. კვარაცხელია, ინსპექტორი — ა. მილჩენკო.

გათამაშების კალენდარი
იხ. მე-4 გვ.

ეროვნულმა პირველობამ კარი შემოაღო

დღეს, ხუთი მატჩით განახლდება XVI ეროვნული ჩემპიონატი. მანამდე კლუბებმა მოსამზადებელი ეტაპები გაიარეს და ახალი სეზონისთვის სტადიონებიც შეძლებისდაგვარად მოამზადეს. პირველ მატჩებამდე სფფ-ს ლიცენზირების კომიტეტმა და პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ერთობლივად კიდევ ერთხელ შეამოწმეს ის სტადიონები, სადაც პირველობის მატჩები გაიმართება. საფეხბურთო არენების შემოწმების და მათი მზადყოფნის შესახებ რამდენიმე კითხვით მივმართეთ პროფლიგის გენერალურ მდივანს რევაზ ლორთქიფანიძეს.

◆ ***რამდენად მზადაა სტადიონები სეზონისთვის?***

— ჩვენ ხუთი ქალაქის სტადიონი შევამოწმეთ. რამდენიმე შენიშვნის გათვალისწინებით, მათი მდგომარეობა მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელია. კლუბების მესვეურებმა გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარეს, თუმცა მათ მიმართ პრეტენზიაც გვაქვს. კლუბებს გავაცანით ის მოთხოვნები, რომლებიც ლიცენზირებისთვის არის საჭირო და ისიც, რომლის შესრულება უკვე აუცილებელი იქნება მომავალი სეზონისთვის. სფფ-ს სალიცენზიო კომიტეტი ხუთი კრიტერიუმით საზღვრავს კლუბების მზადყოფნას სეზონისთვის. აქედან ოთხის შესრულებას პროფლიგაც ითხოვს. ინფრასტრუქტურის მხრივ კლუბებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ ვუყენებთ, რადგან ყველა კლუბს, მათი ზედმიწევნით შესრულება დღევანდელ პირობებში არ შეუძლია.

◆ ***ჩვენი ჩემპიონატის პროგრესზე თუ შეიძლება რაიმეს თქმა?***

— განსაკუთრებული პროგრესი არ არის, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ზოგი რამ სწორდება. წლეულს, ფაქტობრივად, არც ყოფილა მსაჯობასთან დაკავშირებული სკანდალები. არ გამოუთქვამთ პრეტენზიები ჩაწყობილ თამაშებთან დაკავშირებით, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ხელს შეუწყობს პირველობის სპორტული დონის ამაღლებას მომავალში.

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავთა მატჩი მოსკოვში

ფიფა-ს ეგიდით, 2005 წლის 8 მაისს ქ. მოსკოვში „ლუჟნიკების“ სტადიონზე ჩატარდება საფეხბურთო მატჩი საბჭოთა კავშირის (დსთ და ბალტიის ქვეყნების) და მსოფლიო ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც მიეძღვნება ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავს. საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებად მიწვეულნი არიან სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი **ალექსანდრე ჩივაძე** და უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოლეგ ბლოხინი.** საერთო ხელმძღვანელობას განახორციელებს **ნიკიტა სიმონიანი**. ინფორმაცია მატჩის ჩატარების თაობაზე და ალექსანდრე ჩივაძის ოფიციალური მიწვევა ნაკრების მწვრთნელად სამშაბათს მოვიდა რუსეთიის ფეხბურთის კავშირიდან, პრეზიდენტ **ვ. კოლოსკოვის** ხელმოწერით.

თანამეგობრობის ქვეყნების (საბჭოთა კავშირის) ნაკრების წინასწარ შემადგენლობაში საქართველოს ორი წარმომადგენელია. მცველი **კახი კალაძე** და ნახევარმცველი **მალხაზ ასათიანი.** სრული სია კი ასეთია: **მეკარეები:** ს. ოვჩინიკოვი (რუსეთი), ა. შოვკოვსკი (უკრაინა), ვ. მალაფეევი (რუსეთი): **მცველები:** კ. კალაძე (საქართველო), კ. დოხოიანი (სომხეთი), ო. პაშინინი (უზბეკეთი), ს. გურენკო (ბელარუსია), რ. ბალტიევი (ყაზახეთი), დ. შემბერასი (ლიტვა), ა. სტეპანოვი (ესტონეთი), რ. სადიკოვი (აზერბაიჯანი), მ. ასათიანი (საქართველო) ს. იგნაშევიჩი (რუსეთი); **ნახევარმცველები:** ი. ლაიზანსი (ლატვია), ა. ოდერი (ესტონეთი), ვ. მამინოვი (უზბეკეთი), ა. სმერტინი (რუსეთი), მ. კასიმოვი (უზბეკეთი), დ. ალენიჩევი (რუსეთი), ა. გუსინი (უკრაინა), ვ. ბელკევიჩი (ბელარუსი); **თავდამსხმელები:** ა. შევჩენკო (უკრაინა), ა. ვორონინი (უკრაინა), მ. ვერპაკოვსკისი (ლატვია), ა. გლები (ბელარუსი), პ. კუტუზოვი (ბელარუსი), ა. სიჩოვი (რუსეთი), ა. კერჟაკოვი (რუსეთი) ს. კოვალჩუკი (მოლდოვა).

მატჩამდე სია შეიძლება შეიცვალოს. მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობა 25 ფეხბურთელით განისაზღვრა. ორივე ნაკრების ზუსტ შემადგენლობას კი ფიფას აღმასკომზე დაამტკიცებენ.

უეფა ბერძნებს შეამოწმებს

გერმანელი საფეხბურთო არბიტრის რობერტ ჰოიზერის გახმაურებული საქმე ბერძნული „პანიონიოსის“ და თბილისის „დინამოს“ უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მატჩსაც გადასწვდა. დისკვალიფიცირებული გერმანელი მსაჯის განცხადებით, ამ მატჩის ანგარიშიც (5-2 ბერძნების სასარგებლოდ) ჩაწყობილი იყო. თუმცა, პირველმა გამოძიებამ დარღვევები ვერ აღმოაჩინა. რუსული გამოცემის „გაზეტა რუს“ ინფორმაციით უეფა, უახლოეს ხანში, აპირებს აღნიშნულ შეხვედრას, ისევ მიუბრუნდეს და ათენში თავისი ორი წარმომადგენელი მიავლინოს საკითხის ხელმეორედ შესწავლისათვის. თბილისის „დინამოს“ პრეს-ატაშეს ლევან სალუქვაძის განმარტებით — აღნიშნულ საკითხში „დინამო“ უბრალოა და თუ პირველმა გამოძიებამ დარღვევები ვერ აღმოაჩინა, ვერც მეორე გამოავლენს ქართული კლუბის რაიმე დანაშაულს.

მილჩენკომ კუპერი ჩაიბარა

სამშაბათს, ეროვნულ სტადიონზე სამსაჯო კორპუსის თავკაცმა ანატოლი **მილჩენკომ** შეგირდებს მოუხმო და სეზონის წინ ფიზიკური მზადყოფნა შეუმოწმა. უმაღლესი და პირველი ლიგის მსაჯებმა ტრადიციულად კუპერის ტესტი ჩააბარეს, მერე კი თეორიული საკითხების ბილეთები მოიმარჯვეს და მათ უპასუხეს ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე. 45 მსაჯიდან უმრავლესობამ კარგად გაართვა თავი, როგორც ფიზიკურ, ისე თეორიულ გამოცდებს. სამი მსაჯი და ერთი ასისტენტი ფიზიკურ ტესტებს ხელმეორედ ჩააბარებს. 2 მარტს აკადემიისა და რეგიონალური ჩემპიონატის მსაჯებთან ერთად.

სფფ-ში გამოცდები ჩააბარეს უმაღლესი ლიგის მატჩების ინსპექტორებმაც. მათ 35 შეკითხვას ნახევარ საათში უპასუხეს. განახლებული ეროვნული ჩემპიონატის საწყის ტურებზე მსაჯები და ინსპექტორები ჩვეულებრივი წესით დაინიშნებიან.

მილოცვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს, ჯანმრთელობას და სიმხნევეს უსურვებს თბილისის „დინამოს“ პირველი თაობის მხცოვან ვეტერან ფეხბურთელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის (1939) და ბრინჯაოს (1946) პრიზიორს **ასლან ხარბედიას.**

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი



მერვედფინალი. საპასუხო მატჩი

14 თებერვალი. ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი. 5000 მაყურებელი

ზესტაფონი – დინამო (თბ) 1-0 (1-2)

ზესტაფონი: ქვაჩახია, იონანიძე, ჩიკვილაძე, ლ. ღონღაძე, ს. თოდუა, ზირაქიშვილი (ნუდნი 41), გუჩუა, ძამასაშვილი, განუგრავა (ბ. გოცირიძე 75), თურმანიძე, კ. ჩხეტიანი.

დინამო: ზოიძე, ორბელაძე,(გ. ნუგზარის ძე ჰელიძე 85), სილაგაძე, ჰიჰვეიშვილი, რომერო, კანდელაკი, ნემსაძე (კაკალაძე 61), ბაბუნაშვილი (დვალი 84), ჯამარაული, დ. ოდიკაძე, მელქაძე.

გოლი: 1-0 იონანიძე (81)

გააფრთხილეს: განუგრავა (21), ზირაქიშვილი (26), ღონღაძე (52), კანდელაკი (75). **მსაჯი:** ა. ორდინიძე (ონი).

მეოთხედფინალი. გადატანილი მატჩები.

დინამო (ბათუმი) – ზესტაფონი

მატჩები გაიმართება 21 თებერვალს ბათუმში, 8 მარტს — ზესტაფონში.

სერთიფიცირებული სტადიონები

პირველი გვერდიდან

ცია აუდიტორული შემოწმების შემდეგ ვერ მიიღებენ ლიცენზიას. სფფ-ს გენერალური მდივნის განმარტება ამ საკითხზე შეუვალი იყო: „კლუბისთვის გასაცემ ლიცენზიას ხელს ვერ მოვაწერ თუ იგი არ იქნება კვალიფიციური აუდიტის მიერ დამოწმებული“ — განაცხადა **ვალერი ჩოლარიამ.** მომავალ სეზონში ლიცენზირების სისტემის მოთხოვნებს გაითვალისწინებს პროფესიული ფეხბურთის ლიგაც. სფფ-ს ლიცენზირების კომიტეტი 22-24 თებერვალს უმაღლესი ლიგის კლუბებისთვის სემინარს ჩაატარებს, სადაც თითოეულ მათგანთან კვლავ იმსჯელებს ლიცენზირების კრიტერიუმების შესრულების აუცილებლობაზე და მნიშვნელობაზე. უეფაში ევროტურნირების მასპინძელი სტადიონების წარდგენამდე მცირე დრო, ერთი კვირა რჩება. ბოლო ვადა 28 თებერვალია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს კობა ჟორჟიკაშვილს მამის

მიხეილ ჟორჟიკაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მსაჯი

დავით ძაგნიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 18,19.02; დაკრძალვა 20.02, 14 სთ; მისამართი: დ. აღმაშენებლის, 197.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ოფიციალური სპონსორი

საქართველოს 2004-2005 წლების XVI ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კალენდარი

III წრე

XIX ტური
18.02 2005 პარასკევი
ტორპედო (ქუთაისი) — ლოკომოტივი (თბილისი)
კოლხეთი 1913 (ფოთი) — ვიტ ჯორჯია (თბილისი)
დილა (გორი) — დინამო (ბათუმი)
ზესტაფონი (ზესტაფონი) — თბილისი (თბილისი)
დინამო (თბილისი) — სიონი (ბოლნისი)

XX ტური
25.02 2005 პარასკევი
თბილისი — კოლხეთი 1913
ლოკომოტივი — დინამო (ბთ)
სიონი — დილა
ტორპედო — ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია — დინამო (თბ)

XXI ტური
01.03 2005 სამშაბათი
ზესტაფონი — ლოკომოტივი
კოლხეთი 1913 — ტორპედო
დინამო (ბთ) — სიონი
დინამო (თბ) — თბილისი
დილა — ვიტ ჯორჯია

XXII ტური
05.03 2005 შაბათი
ვიტ ჯორჯია — დინამო (ბთ)
ლოკომოტივი — სიონი
ზესტაფონი — კოლხეთი 1913
ტორპედო —— დინამო (თბ)
თბილისი — დილა

XXIII ტური
12.03 2005 შაბათი
კოლხეთი 1913 — ლოკომოტივი
დილა — ტორპედო
დინამო (თბ) — ზესტაფონი
დინამო (ბთ) — თბილისი
სიონი — ვიტ ჯორჯია

XXIV ტური
16.03 2005 ოთხშაბათი
ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია
ტორპედო — დინამო (ბთ)
ზესტაფონი — დილა
კოლხეთი 1913 — დინამო (თბ)
თბილისი — სიონი

XXV ტური
20.03 2005 კვირა
დილა — კოლხეთი 1913
დინამო (ბთ) — ზესტაფონი
სიონი — ტორპედო
ვიტ ჯორჯია — თბილისი
დინამო (თბ) — ლოკომოტივი

XXVI ტური
02.04 2005 შაბათი
ლოკომოტივი — თბილისი
კოლხეთი 1913 — დინამო (ბთ)
ზესტაფონი — სიონი
დინამო (თბ) — დილა
ტორპედო — ვიტ ჯორჯია

თასის 1/2 ფინალი
06.04 2005 ოთხშაბათი

XXVII ტური
10.04 2005 კვირა
სიონი — კოლხეთი 1913
ვიტ ჯორჯია — ზესტაფონი
დილა — ლოკომოტივი
დინამო (ბთ) — დინამო (თბ)
თბილისი — ტორპედო

IV წრე

XXVIII ტური
17.04 2005 კვირა
ვიტ ჯორჯია — კოლხეთი 1913
დინამო (ბთ) — დილა
თბილისი —ზესტაფონი
სიონი — დინამო (თბ)
ლოკომოტივი — ტორპედო

XXIX ტური
21.04 2005 ხუთშაბათი
კოლხეთი 1913 — თბილისი
დინამო (ბთ) — ლოკომოტივი
დილა — სიონი
ზესტაფონი — ტორპედო
დინამო (თბ) — ვიტ ჯორჯია

XXX ტური
26.04 2005 სამშაბათი
ლოკომოტივი — ზესტაფონი
ტორპედო — კოლხეთი 1913
სიონი — დინამო (ბთ)
თბილისი — დინამო (თბ)
ვიტ ჯორჯია — დილა

XXXI ტური
30.04. 2005 შაბათი
დინამო (ბთ) — ვიტ ჯორჯია
დილა — თბილისი
დინამო (თბ) — ტორპედო
სიონი — ლოკომოტივი
კოლხეთი 1913 — ზესტაფონი

თასის 1/2 ფინალი
04.05. 2005 ოთხშაბათი

XXXII ტური
08.05 2005 კვირა
ლოკომოტივი — კოლხეთი 1913
ტორპედო — დილა
ზესტაფონი — დინამო (თბ)
თბილისი — დინამო . (ბთ)
ვიტ ჯორჯია — სიონი

XXXIII ტური
14.05.2005 შაბათი
სიონი — თბილისი
დინამო (ბთ) — ტორპედო
დილა — ზესტაფონი
დინამო (თბ) — კოლხეთი 1913
ვიტ-ჯორჯია — ლოკომოტივი

XXXIV ტური
18.05 2005 ოთხშაბათი
კოლხეთი1913 — დილა
ზესტაფონი — დინამო (ბთ)
ტორპედო — სიონი
თბილისი — ვიტ ჯორჯია
ლოკომოტიივი —დინამო (თბ)

XXXV ტური
22.05 2005 კვირა
თბილისი — ლოკომტივი
დინამო (ბთ) — კოლხეთი 1913
სიონი — ზესტაფონი
დილა — დინამო (თბ)
ვიტ ჯორჯია — ტორპედო

თასის ფინალი
26.05 2005 ხუთშაბათი

XXXVI ტური
30.05 2005 ორშაბათი
ტორპედო — თბილისი
ლოკომოტივი — დილა
დინამო (თბ) — დინამო (ბთ)
კოლხეთი 1913 — სიონი
ზესტაფონი — ვიტ ჯორჯია

თქვენთვის, ფეხბურთის ერუდიტებო!

დაიბადა 1953 წლის 3 მარტს. საფეხბურთო კარიერა: 1963-1967 წლებში თამაშობდა ბრაზილიის „პაიდედეში“, 1967-1983 წ.წ. „ფლამენგოში“, 1983-1985წ.წ.: იტალიის „უდინეზეში“, 1985-1989 წლებში კვლავ „ფლამენგოში“, 1992-1994 წ.წ. იაპონიის „კასიმა ანტლერსში“.

სამწვრთნელო კარიერა: 1994-2002 წლებში მუშაობდა ტექნიკურ დირექტორად „კასიმა ანტლერსში“, 1998 წელს ხელმძღვანელობდა ბრაზილიის იუნიორთა ნაკრებს, ხოლო 2002 წელს იაპონიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

1980, 1982, 1983, 1987 წლების ბრაზილიის ჩემპიონია. არის ლიბერტადორესის თასის მფლობელი – 1981-ში. მონაწილეობდა მსოფლიოს პირველობაზე 1978, 1982, 1986 წლებში. 71 საერთაშორისო მატჩებში გატანილი აქვს 48 გოლი. ვინაა იგი (თეთრ მაისურში)?

„ლელოს“ №9-ში გამოქვეყნებული შეკითხვების პასუხები: 1. სურათზეა ჩილელი ფეხბურთელი ივან სამორანო. 2. სურათზეა კამერუნელი ფეხბურთელი სამუელ ეტო'ო.

ქართული ფეხბურთის პათოლოგიის დიაგნოზი

თვალსაზრისი

თავდასხმის ნაკლებშედეგიანი თამაში პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული იმ სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე, რაც უკვე აღვნიშნე. მხოლოდ ლაიოშ ბაროტი კი არ იყო აღფრთოვანებული ქართველი თავდამსხმელებით. საფრანგეთში ჩატარებული ტურნეს შემდეგ თბილისის „დინამოს“ შესახებ გაზეთი „პარი-ჟური“ წერდა: „ბევრი იმ საბჭოთა გუნდების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მეთოდური, შედარებით ნელი თამაშით გამოირჩევიან, ქართველმა ფეხბურთელებმა გვიჩვენეს კომბინაციათა განსაკუთრებული სისწრაფე, რაც სამხრეთული ტემპერამენტის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. მათმა სწრაფმა თამაშმა, ცოცხალმა და მარჯვე დრიბლინგმა გააოცა პარიზელები. თუ ცალ-ცალკე დავახასიათებთ, საბჭოთა მოთამაშეებს დიდი ტექნიკური მარაგი აქვთ და მათი ენერგია მათს ვირტუოზობას უდრის.“ „ძალიან მომეწონა თავდასხმა, განსაკუთრებით ორივე „ქართული ფრთა“ — მეტრეველი და მესხი, რომლებიც ძალზე სასარგებლოდ მოქმედებდნენ. მათი მოძრაობა მიმართული იყო არა მოედნის გასწვრივ, არამედ წინ, მეტოქის დაცვის სიღრმისაკენ, რაც ძალზე სახიფათოა“. ეს სიტყვები ეკუთვნის გამოჩენილ იტალიელ მწვრთნელს, ელენიო ერერას. ინგლისური გაზეთი „დეილი ჰერალდი“: „დინამოელები განსაცვიფრებელი სილაღითა და ოსტატობით ცვლიდნენ ადგილებს; მარჯვენა მცველს სტიუარტს დასჭირდა კოშმარის გადატანა ელვასავით სწრაფი მესხის წინააღმდეგ თამაშში“; არგენტინელთა საერთო აზრით, ბუენოს-აირესის განთქმულ სტადიონს არ ენახა მესხსა და მეტრეველზე დიდი ფეხბურთელები; სწორედ მათ აალებინეს 1960 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებს ევროპის თასი; დანიის ნაკრების წინააღმდეგ დიდებულად იასპარეზა ვლადიმერ ბარქაიამ და სამი შესანიშნავი გოლი გაიტანა.; ვლადიმერ გუცაევს რამდენიმე მილიონი დოლარი შესთავაზა მადრიდის „რეალმა“.; რამაზ შენგელია ორჯერ იყო საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის გოლეადორები იყვნენ: ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, ზაურ კალოევი, ილია დათუნაშვილი, გოჩა გავაშელი, ჯემალ ხერხაძე, რამაზ შენგელია... მაგრამ რა ხდება დღეს?



მიხეილ მესხი (მარჯვნივ)

ქართული ფეხბურთის ჩავარდნისა და შესაბამისად თავდასხმის გაუფერულების მიზეზები შორეულ ფესვებშია დასაძებნი. 50-იანი წლების ბოლოს მიხეილ მესხის გამოჩენამ საფუძველი დაუდო მთელ ეპოქას. იგი იყო ყველაზე დიდი ფეხბურთელი, ვინც კი მინახავს. ბევრჯერ ვარ იმის მომსწრე, როდესაც მას მოუტყუებია სამი, ოთხი და მეტი ფეხბურთელი. ამას იგი აკეთებდა მაღალ ტემპში, წინ, კარისკენ მოძრაობით. მთავარი იყო, დინამოელებს როგორმე მიეწოდებინათ ბურთი, რაც ძალზე ძნელი იყო, რადგან მცველებით გარშემორტყმული მესხისკენ ყოველგვარი გზა გადაკეტილი იყო. თუ როგორმე მიიღებდა ბურთს, იწყებოდა ტრიბუნების გამოცოცხლება, სიხარული, ბედნიერება. მაყურებელი წამით ირინდებოდა, სუნთქვას იკრავდა რაღაც განსაკუთრებულის, ჯერ არნახულის მოლოდინში, რაც უკვე მხოლოდ სპორტი კი არა, ოსტატობასა და აზარტთან ერთად დიდი ხელოვნებაც იყო. მეტოქის დაცვა პანიკაში ვარდებოდა. გააფთრებული მიშა მოხარხარე მაყურებლის აკომპანიმენტის თანხლებით წინ მიიწევდა, შემხვედრ მცველს ატყუებდა... მაგრამ მოტყუებაც არის და მოტყუებაც. ან კისრით უნდა წარჰკობილიყო, ან, გზააბნეული, საწინააღმდეგო მხარეს გარბოდა, ან მაისურზე ეკიდებოდა. მის წინაშე უძლური იყო მეტოქის რამდენიმე მცველი ერთად. მაშინაც კი, როდესაც იერიში ჩვენს კარზე ხორციელდებოდა, მიშას ორი მცველი ედგა, რაც დიდი შეღავათი იყო დანარჩენებისათვის. ჩემს სიცოცხლეში მასებისგან, ხალხისგან ორ საოცარ, არნახულ, ფანატიკურ სიყვარულს ვარ მოსწრებული. ერთი იყო სტალინის, მეორე კი მესხის მიმართ სიყვარული.

მესხის ინდივიდი ისე ძირფესვიანად და სისხლხორცეულად შეითვისა ქართულმა ფეხბურთმა, რომ აღმოჩნდა — ის ყოფილა უმთავრესი ბაზისი, რაზეც უნდა აგებულიყო გუნდის ზედნაშენი, — თავდასხმა. იმ მატჩებში, რომლებშიც მესხი ვერ მონაწილეობდა, „დინამო“ უმწეოდ გამოიყურებოდა და ეს მაშინ, როდესაც გუნდში თამაშობდნენ: ღოღობერიძე, კალოევი, იამანიძე, ბარქაია, გიორგი სიჭინავა, ჩოხელი, ხურცილავა, კოტრიკაძე და სხვები! მესხის წინაშე არ არსებობდა არავითარი „ბეტონი“. იმ დროს, ყველა გუნდი ფილმების საშუალებით დეტალურად სწავლობდა მის ფინტებს, ნებისმიერ მოძრაობას. „დინამოსთან“ თამაშში იყო მათი №1 პრობლემა. და აი, წავიდა მესხი. ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. რამდენიმე წელი მისი ჰაპანი ზიდა სლავა მეტრეველმა. სლავა მესხისგან განსხვავებით უფრო აკადემიური სტილის ფორვარდი იყო. ბურთი მიიღო მეტრეველმა, მის წინ მცველია. სლავა იწყებდა მოძრაობას, უბრალოდ, ყოველგვარი ეფექტის გარეშე და რამდენიმე წამში, აღმოჩნდებოდა, რომ მეტოქისა და ჩვენდა შეუმჩნევლად, მცველი უკანაა და სლავა წინ მიიწევს! ამას მესხი აკეთებდა უდიდესი ეფექტით, მცველს თრგუნავდა, რაც პანიკაში აგდებდა დაცვას, ფსიქოლოგიურად ანადგურებდა და ყოველივე ამით მაყურებლის სულსა და გულს აბედნიერებდა. დიახ, ქართულ ფეხბურთს ჰყავდა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ორი თავდამსხმელი!

მესხის წასვლით დამთავრდა მთელი ეპოქა ქართულ ფეხბურთში. დაიწყო კრიზისი. ცვლიდნენ მწვრთნელებს, ცვლიდნენ არცთუ ცუდ ფეხბურთელებს, მაგრამ შედეგი არა და არ ჩანდა. ყოველივე ეს გაგრძელდა მანამ, სანამ არ გამოჩნდა მესხის ტიპის ინდივიდუალისტი თავდამსხმელი. ეს იყო ვოვა გუცაევი. გუცაევი მესხი არ იყო, მაგრამ მის პირველსავე თამაშში, როდესაც სისხლი გაუშრო მოსკოვის „სპარტაკის“ განთქმულ მცველს ოლშანსკის, ნათელი გახდა, რომ მოგვევლინა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალისტი. კვლავ აეწყო თამაში, კვლავ აბობოქრდა ტრიბუნები. ღრმად მწამს, „სტანდარდთან“ მატჩში, გუცაევს რომ მიეღო მონაწილეობა, გავიმარჯვებდით.

მესხამდე პაიჭაძე ყოფილა ასეთი ინდივიდუალისტი. გუცაევის შემდეგ მათი ტიპის თავდამსხმელი უკვე ამდენი წელია არ გამოჩენილა და შედეგსაც ვიმკით. ქართული ფეხბურთი მოითხოვს მაღალი კლასის ინდივიდუალისტ თავდამსხმელს. მხოლოდ მაშინ აეწყობა თამაში წინ, მხოლოდ მაშინ დაემგვანება შეტევა შეტევას, მხოლოდ მაშინ აბობოქრდება ტრიბუნები.

სწორედ ინდივიდუალისტი თავდამსხმელია ჩვენი ნაკრებისათვის ყველაზე საჭირო, სწორედ ინდივიდუალიზმია ის მახვილი, რაც ანგრევს მკაცრად დისციპლინებულ გერმანულ, ინგლისურ თუ სკანდინავიის გუნდების წყობას. როდესაც დანიის მწვრთნელმა განაცხადა თბილისში აუცილებლად მოვიგებთო, ამას ალენ ჟირესი მშვიდად შეხვდა და თქვა, მე ვიცი, როგორც უნდა ვეთამაშოთ დანიელებსო და თურმე აი, რა ჩაუფიქრია: აკადემიურ თავდამსხმელ არველაძის ნაცვლად მოედანზე გამოიყვანა ინდივიდუალისტი დემეტრაძე. თანაც მას დაავალა ეთამაშა მკვეთრად ინდივიდუალურად. და ამ ტაქტიკამ გაამართლა. დემეტრაძის ცრუ მოძრაობები არღვევდა დანიელთა მკაცრ, რაციონალურ, დისციპლინებულ დაცვას. აი, რას ნიშნავს ინდივიდუალიზმი! ის, რომ ჩვენ ამ მხრივ მოთამაშეთა სილარიბეს არ განვიცდიდით, საფეხბურთო განძია.

ვლადიმერ გუცაევი (მუქ მაისურში)

სლავა მეტრეველი

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ინდივიდუალისტთა ნაკლებობას ქართულ ფეხბურთში არც ნახევარდაცვა განიცდიდა (იამანიძე, გიორგი სიჭინავა, ასათიანი, სხვები). დიდი მოვლენა იყო მანუჩარ მაჩაიძის ფენომენი. მართალია, ზოგჯერ იგი ზედმეტად ატარებდა ბურთს, მაგრამ ასრულებდა კოლოსალურ სამუშაოს (როგორც შემოქმედებითს, ისე შავს), რითაც ასვენებდა თანაგუნდელებს და ამით ავსებდა ქართველებისათვის დამახასიათებელ ნაკლები შრომისუნარიანობის დეფიციტს. მისთვის ბურთისართმევა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. კარგად მახსოვს, გერმანიაში „ჰამბურგთან“ მატჩისას, ორიგ ერმანელი ამაოდ როგორ დაშვრა, თავგანწირულად შეეცადნენ რა პრესინგით აერთმიათ ბურთი, მაგრამ მანუჩარმა ორივე მშრალზე დატოვა. მაშინ, ერთ-ერთმა გერმანელმა ხელები გაშალა და გაჩერდა!

მანუჩარს რომ მოეხერხებინა უფრო რაციონალური თამაში, იგი იქნებოდა მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ნახევარმცველი. თავად განსაჯეთ, მას ჰქონდა ჯემალ ზეინკლიშვილის ჯანი, თენგიზ სულაქველიძის გამძლეობა და გიორგი სიჭინავას ტექნიკა. მაგრამ იმდენ ხანს ატარებდა ბურთს, რომ მეტოქე ასწრებდა დაცვაში ჩასვლას და პოზიციების დაკავებას.

მეტად ნიშანდობლივია ერთი ფაქტი. „საფეხბურთო პენსიაში“ მყოფ სპარტაკელ ჩერენკოვს რეზო ჩელებაძისთვის უთქვამს, ბესკოვი თამაშის წინ გვეუბნებოდა: მანუჩარს არ მიეტანოთ, მოედნის განივად გაჰყევით და გამოჰყევითო. მასთან მიტანებას აზრი არ აქვს, არ არსებობს ძალა და საშუალება რაც მას ბურთს აართმევს, მეორეც, ამასობაში დაცვაში ჩასვლას მოვასწრებთო.

მაჩაიძემდე გუნდის მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალისტი იყო კახი ასათიანი. სწორედ მისი შემოტანილია ქართულ ფეხბურთში 30-40 მეტრიანი ზუსტი პასები, რაც ბრწყინვალე ესტაფეტად მიიღო დავით ყიფიანმა.

ყიფიანის შემდეგ ინდივიდუალისტ ნახევარმცველად მოგვევლინა გიორგი ქინქლაძე, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ისე ვერ აეწყო საქმე, რისი ღირსიც იყო.

როგორი უნდა იყოს თანამედროვე ქართული თავდასხმა? ერთ-ერთი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, აუცილებლად უნდა იყოს ინდივიდუალისტი. რაღა თქმა უნდა, უმჯობესი იქნება ორივე ინდივიდუალისტი იყოს. მეტოქის კარისკენ გზაზე ერთ-ერთზე დარჩენილმა, ათიდან ექვსჯერ მაინც უნდა შეძლოს მცველის მოტყუება. აღარაფერს ვამბობ მესხისა და გუცაევსავით ერთზე მეტი მცველის მოტყუებაზე. თავდამსხმელები ისე უნდა იყვნენ შერჩეულნი, რომ ერთმანეთი შეავსონ. ვთქვათ ერთი იყოს ათლეტური, მეორე კი ცქვიტი და სხარტი. ათლეტური ფეხბურთელი აუცილებლად უნდა იყოს ძალმსხვილი. უნდა ჰქონდეს გოლის გრძნობის ალღო და თამაშობდეს დასწრებაზე (ასეთი იყო რამაზ შენგელია). მიუხედავად იმისა, რომ თავით თამაშის არავითარი სკოლა არ გაგვაჩნია, და ძნელია მოიძებნოს ჩვენში ასეთი თავდამსხმელი, უნდა შეირჩეს იმის მიხედვითაც, რომ თამაშობდეს თავით საშუალო დონეზე მაინც. უმთავრესი კი სისწრაფეა. თუ თავდამსხმელს სისწრაფე არ აქვს, იგი ჩამოსაწერია.

ომარ ჩხეიძე

(გაგრძ. იქნება, დასაწ. „ლელო“ №8-11)

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

პაველ ნედვედი: „მადრიდის „რეალს“ სუსტი მხარე არ გააჩნია“

თანდათან მწყობრში ბრუნდება ტურინის „იუვენტუსის“ წამყვანი ფეხბურთელი პაველ ნედვედი, რომელიც რამდენიმეკვირიანი ტრავმით გამოწვეული იძულებითი შესვენების შემდეგ კვლავ დაეხმარება თავის გუნდს „სკუდეტოსა“ და ევროპის ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისათვის ბრძოლაში. რამდენიმე დღეში „ბებერ ქალბატონს“ ელის დაძაბული შეხვედრა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მადრიდის „რეალთან“. გთავაზობთ პაველ ნედვედის მიერ ინტერნეტის საიტ „სოკერისათვის“ მიცემულ ინტერვიუს:

◆ ***ითამაშებთ თუ არა მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ?***

— ვერ გეტყვით. მონდომებით ვემზადებოდი „სამეფო კლუბთან“ შეხვედრისათვის, შესანიშნავ სპორტულ ფორმაშიც ვიყავი, მაგრამ მძიმე ტრავმა მივიღე. ახლა თავს კარგად ვგრძნობ, თუმცა, წინასწარ არ შემიძლია, ზუსტად განვსაზღვრო, როდის გამოვალ მოედანზე.

◆ ***როგორია თქვენი პროგნოზი „რეალი“ – „იუვენტუსის“ დაპირისპირების წინ?***

— ასეთ მატჩებში ფავორიტი არ არსებობს, ორივე გუნდს წარმატების თანაბარი შანსი აქვს.

◆ ***როცა მადრიდის „რეალის“ მოთამაშეებს ეკითხებიან, „იუვენტუსიდან“ რომელ ფეხბურთელს გამოარჩევთო, უმეტესობა თქვენ გასახელებთ. თავად, რომელი ფეხბურთელი მოგწონთ „სამეფო კლუბის“ შემადგენლობიდან?***

— ასეთები იქ ბევრნი არიან. თუ ორი ფეხბურთელის ამორჩევის უფლებას მომცემთ, უპირატესობას ზიდანსა და რაულს მივანიჭებ.

◆ ***რომელია ყველაზე სახიფათო?***

საერთოდ, ყველა რონალდოს უფრთხის, მაგრამ ჩემთვის, ყველაზე სახიფათო მოთამაშე რაულია, — თუ თავისუფლად მოქმედების შანსი ერთხელ მიეცი, მორჩა, ყველაფერი დასრულებულია...

◆ ***თვლი თუ არა მადრიდის „რეალს“ დაბერებულ გუნდად? ზიდანი 32 წლისაა, ფიგუ და რობერტო კარლოსი – 31-31 წლისანი არიან...***

— ისევე როგორც მე... გამოდის, რომ მეც ბებერი ვარ (იცინის)... მადრიდის „რეალი“ მაინც სახიფათო გუნდია. ასაკის მიუხედავად, ზემოთ ჩამოთვლილი მოთამაშეები კვლავ სუპერვარსკვლავები არიან და კიდევ ძალუძთ ტიტულების მოპოვება.

◆ ***როგორ უნდა ითამაშოს „იუვენტუსმა“ მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ?***

— სათამაშო სტილის არანაირი შეცვლა არ გვჭირდება. ჩვენ ერთი მიმართულებით ვთამაშობთ, — თავდაუზოგავად,.. არაფერს დავუთმობთ მეტოქეს.

◆ ***რა არის მადრიდის „რეალის“ სუსტი მხარე?***

— ამ კლუბს სუსტი მხარე არ გააჩნია.

◆ ***„იუვენტუსს“?***

— ჩვენი გუნდიც ძლიერია და მადრიდის „რეალიც“. ნამდვილი საფეხბურთო ბატალიები გველის, რომლის მსვლელობასაც გადაწყვეტს ერთი ზუსტი საჯარიმო დარტყმა, ერთი თერთმეტმეტრიანი...

◆ ***მეორე მატჩს „იუვენტუსი“ საკუთარ მოედანზე ატარებს. ეს ხომ გარკვეულ უპირატესობას განიჭებთ?...***

— ერთს ვიტყვი, — ჩვენ ორი უძნელესი მატჩი გველის ესპანური ფეხბურთის გრანდთან.

◆ ***ადევნებთ თვალს მადრიდის „რეალის“ მონაწილეობით გამართულ მატჩებს?***

— უკანასკნელად ენახე „რეალის“ მატჩი „ნუმანსიასთან“, როცა გოლები გაიტანეს ბექჰემმა და მიჩელ სალგადომ.

◆ ***ეს უკანასკნელი მადრიდის „რეალის“, ასე ვთქვათ, „საიდუმლო იარაღია“. ხომ შეიძლება, მათთან თამაშის დროს თვალი ყურადღებით ადევნოთ რონალდოს და რაულს, ამ დროს მატჩის ბედი მიჩელ სალგადომ გადაწყვიტოს.***

— (იცინის). ჩვენ მთელი 90 წუთის განმავლობაში ფხიზლად უნდა ვიყოთ.

◆ ***არაერთ მნიშვნელოვან მატჩში გითამაშიათ... და მაინც, – მადრიდის „რეალთან“ მომავალ შეხვედრას განსაკუთრებულად თვლით?***

— დიახ. ეს იქნება ყველაზე საინტერესო შეხვედრა ჩემს კარიერაში.

◆ ***„იუვენტუსთან“ ბოლო შეხვედრისას „რეალის“ ფეხბურთელებმა გოლის გატანა ვერ მოახერხეს...***

— ისინი, რა თქმა უნდა, რევანშზე ფიქრობენ. ბოლო მატჩი ხომ ჩვენი გამარჯვებით და „რეალის“ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნით დასრულდა...

◆ ***ვის თვლით საუკეთესოდ? – ბუფონის თუ კასილიასს?***

— ჩემთვის საუკეთესო ბუფონია.

◆ ***რონალდო თუ იბრაჰიმოვიჩი?***

— ძნელია, რაიმეს თქმა. რონალდომ უკვე ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. რაც შეეხება ზლატან იბრაჰიმოვიჩს, მას ყველაფერი წინ აქვს.

◆ ***დასასრულ, კიდევ ერთი საინტერესო შეკითხვა: ვინ უფრო საუკეთესოა – ზიდანი თუ ნედვედი?***

— ზინედინ ზიდანს მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელად ვთვლი.

P. S. პაველ ნედვედმა უარი განუცხადა თავისი გუნდის – „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობას კონტრაქტის გაგრძელებაზე. ამჟამინდელი კონტრაქტი მას 2006 წელს უსრულდება. ადრე, „ოქროს ბურთის“ 2003 წლის ლაურეატმა არაერთხელ გამოთქვა სურვილი, თავისი კარიერა დაესრულებინა „ბებერი ქალბატონის“ შემადგენლობაში.

უეფას თასი

გაიმართა უეფას თასის გათამაშების პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩები. დონეცკში, ადგილობრივმა „შახტარმა“ გერმანულ კლუბს „შალკეს“ უმასპინძლა. მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. უკვე მეშვიდე წუთზე სტუმრები დაწინაურდნენ — გოლი აილტონმა გაიტანა. უკრაინულმა გუნდმა მხოლოდ შეხვედრის მიწურულს ბრანდაუს გოლით აღადგინა წონასწორობა. „შალკეს“ შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშა ქართველმა ლეგიონერმა ლევან კობიაშვილმა.

„შალკეს“ შემადგენლობა: როსტი, პოულსენი, კობიაშვილი, ალთინთოფი (ასამოა, 76), აილტონი, სანდი (ჰანკე, 83), ვალდოხი, როდრიგესი, ვერმანტი, უდე კამფუისი, კრსტაიჩი.

ჰოლანდიის „აიაქსმა“ საკუთარ მოედანზე მაქსველის ერთადერთი გოლის წყალობით 1-0 დაამარცხა საფრანგეთის „ოსერი“. ასეთივე ანგარიშით საბერძნეთის „პანათინაიკოსმა“ მოუგო ესპანეთის საფეხბურთო კლუბ „სევილიას“.

ფრედ — 2-2 დასრულდა ბელგრადის „პარტიზანისა“ და დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ შეხვედრა. გოლი არ გასულა „პარმასა“ და „შტუტგარტის“ (0-0) შეხვედრაში.

საინტერესო იყო ლისაბონის „სპორტინგისა“ და ჰოლანდიის „ფეიენოორდის“ დაპირისპირება. ჰოლანდიელები მე-7 წუთზე დაწინაურდნენ — მასპინძელთა კარში გოლი გოორმა გაიტანა. ამ უპირატესობით სტუმრებმა მხოლოდ 22-ე წუთამდე გაძლეს. როჟერუმ წონასწორობა აღადგინა. 15 წუთში კი ლუდსონმა დააწინაურა „სპორტინგი“. მეორე ტაიმში ორივე გუნდს ჰქონდა საგოლე მომენტები, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. საინტერესოა, რომ 63-ე წუთიდან მასპინძლები 10 კაცის შემადგენლობით აგრძელებდნენ თამაშს — მსაჯმა უხეშობისათვის მოედნიდან კუშტოდუ გააძევა.

„ვალენსიას“ არ გასჭირვებია საკუთარ მოედანზე რუმინული „სტიაუას“ დამარცხება — 2-0. ანგარიში 38-ე წუთზე დი ვაიომ გახსნა. მეორე ტაიმში კი აიმარმა გამოიჩინა თავი. ამ შეხვედრაში ***„ვალენსია“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა:*** პალოპი, მარჩენა, ფიორე, ბარახა (ალბელდა, 85), დი ვაიო, კანეირა, სისოკო (რუფეტე, 72), ნავარო, მისტა (კორადი, 78), აიმარი, მორეტი.

გადაიდო „აუსტრია“ — „ბილბაოს“ შეხვედრა. წუხელ კიდევ რამდენიმე მატჩი შედგა.

„ჩელსიმ“ მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა

სპეციალისტებმა გამოთვალეს, რომ მსოფლიოს ოცი უმდიდრესი საფეხბურთო კლუბის საერთო შემოსავალი 3,78 მილიარდი ფუნტია. ყველაზე მდიდარი კლუბი ინგლისური ფეხბურთის გრანდი – „მანჩესტერ იუნაიტედია“, რომლის შემოსავალმა 2003-2004 წლებში 171,5 მილიონი ფუნტი შეადგინა. მეორე ადგილზეა მადრიდის „რეალი“ – 156,3 მილიონი, ხოლო მესამეზე – „მილანი“ – 147,2 მილიონი. შემდეგ მოდიან „ჩელსი“ – 143,7, „იუვენტუსი“ – 142,4, ლონდონის „არსენალი“ – 115, „ბარსელონა“ – 112 მილიონი ფუნტი... საუკეთესო ათეულში აგრეთვე შედიან „ინტერი“, „ბაიერნი“ და „ლივერპული“.

მარადონასთვის კონი არ მოუცილებიათ

არგენტინული ფეხბურთის 80-იანი წლების ვარსკვლავმა დიეგო მარადონამ უარჰყო ადრე გავრცელებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თითქოსდა კოლუმბიაში ჩავიდა კონის მოცილებისათვის საჭირო ოპერაციის გასაკეთებლად.

„მე აქ ვისვენებ და თავს მშვენივრად ვგრძნობ. მადლობელი ვარ კოლუმბიელი ხალხის ჩემდამი დამოკიდებულებით“, — თქვა მარადონამ.

აბრამოვიჩი მილანში ამ კვირაში ჩავა

„ჩელსის“ მფლობელი რომან აბრამოვიჩი ამ კვირაში საქმიანი ვიზიტით ეწვევა მილანს, კერძოდ, საფეხბურთო კლუბებს – „ინტერსა“ და „მილანს“. რუსი ოლიგარქი „ინტერთან“ გაარკვევს ამ გუნდის შემადგენლობაში არენდით მოთამაშე ვერონის ბედს. „ინტერის“ ხელმძღვანელობა ვერონის ნაცვლად აბრამოვიჩს ედგარ დავიდსს სთავაზობს. გარდა ამისა, აბრამოვიჩი ადრიანოთიცაა დაინტერესებული.

რაც შეეხება „მილანს“, ამ უკანასკნელს სურს გამოისყიდოს „ჩელსის“ კუთვნილი ერნან კრესპო. ცნობილია, რომ „მილანმა“ ამ რამდენიმე დღის წინ არგენტინელის სანაცვლოდ, 15 მილიონი ფუნტი და კახი კალაძე შესთავაზა...

ადგილობრივი წყლის სმა აუკრძალეს

წუხელ უეფას თასის გათამაშების პირველ მეთექვსმეტეფინალურ მატჩში მოსკოვის ცსკა-მ კრასნოდარში უმასპინძლა პორტუგალიურ „ბენფიკას“. საინტერესოა, რომ პორტუგალიური კლუბის ხელმძღვანელობამ კრასნოდარში სტუმრობისას ფეხბურთელებს აუკრძალა ადგილობრივი სასმელი წყლის გამოყენება. „ბენფიკას“ მთელი შემადგენლობა უზრუნველყოფილი იყო პორტუგალიიდან წამოღებული წყლით.

რუსეთის ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი ვერ უშველის

რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი იარცევმა ჟურნალისტებთან საუბარში საკუთარი აზრი გამოთქვა ბოლო დროს გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, თითქოსდა ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები შესაძლოა, უცხოელ სპეციალისტს მიანდონ.

„უცხოელი მწვრთნელები უკვე იყვნენ რუსეთში – ცსკა-ში, „დინამოში“, „სპარტაკში“. ისინი ამ გუნდებში დიდი აჟიოტაჟის ფონზე მივიდნენ. ახლა? სად არიან? მწვრთნელი შეიძლება განსაკუთრებული იყოს, მაგრამ მან ძლიერი ნაკრები უნდა შექმნას ჩვენი ფეხბურთელებისგან, რომელთა შორის არ არიან რონალდო, ზიდანი, რონალდინიო და სხვა სუპერვარსკვლავები. რეალისტები უნდა ვიყოთ“, – ამბობს გიორგი იარცევი, რომელმაც იქვე დაამატა, რომ, თუკი ეტყვიან, – პოსტს მაშინვე დატოვებს.

ფაბიო კაპელო იმედიანადაა

„რეალი“ — „იუვენტუსის“ დაპირისპირებას ყველა მოუთმენლად ელის. მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ტურინელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი ფაბიო კაპელო, რომელიც, სხვათა შორის, ერთი პერიოდი „რეალსაც“ თავკაცობდა.

კაპელოს სწამს, რომ „იუვენტუსი“ თავგანწირვით ითამაშებს „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

„დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება ყველაზე საინტერესო დაპირისპირება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების მერვედფინალური მატჩებიდან“.

ფაბიო კაპელოს აზრით, მომავალ მატჩში ფავორიტი არ არსებობს. „როცა დეკემბერში კენჭისყრა ჩატარდა და მერვედფინალში მეტოქედ „რეალი“ გვერგო, სპეციალისტებმა გაითვალისწინეს ესპანური კლუბის მაშინდელი არასტაბილური ასპარეზობა და ფავორიტად „იუვენტუსი“ შერაცხეს. მაშინაც ვთქვი, რომ თებერვლის ბოლოს მადრიდის „რეალი“ საკუთარ თავს იპოვის-მეთქი და ასეც არის. მას შემდეგ, რაც „რეალის“ მთავარ მწვრთნელად ლუშემბურგო დაინიშნა, გუნდმა ამკარად უკეთ დაიწყო თამაში“ — ამბობს კაპელო.

ტურინელთა თავკაცი განსაკუთრებით რაულს, გუტისა და სამუელს უფრთხის. „რაული ბევრს მუშაობს გუნდისათვის. წლებს თავისი მიაქვს, მაგრამ რაული კვლავ საუკეთესოა, გუტი ფენომენალური მოთამაშეა. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ის დიდ წარმატებებს მიაღწევს. გუტი სალად აზროვნებს მოედანზე და მატჩის ბედის გადაწყვეტა ძალუძს. სამუელი კი ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. და მაინც მჯერა, რომ „იუვენტუსი“ წარმატებით ითამაშებს მადრიდში“, — ეს სიტყვები ფაბიო კაპელოს ეკუთვნის.

ფიგუ: „კრიზისი დაძლეულია“

მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი ლუიშ ფიგუ თვლის, რომ მისმა გუნდმა უკან მოიტოვა კრიზისი. „არიგო საკისა და ვანდერლეი ლუშემბურგოს მოსვლით, მადრიდის „რეალში“ მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა,“ – ამბობს ფიგუ, რომელსაც სჯერა, რომ ახალი მწვრთნელი ბევრ სარგებლობას მოუტანს ესპანეთის „სამეფო კლუბს“. ფიგუს აზრით, მადრიდის „რეალი“ ევროპის ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევს. ძირითად კონკურენტებად კი მიიჩნევს „მილანს“, „ჩელსის“ და „ბარსელონას“.

„ჩელსი“ 15 წლის ფორვარდს 2 მილიონად ყიდულობს

ლონდონის „ჩელსის ხელმძღვანელობა მზად არის ორი მილიონი ფუნტი გადაიხადოს „საუთჰემპტონის“ ნაკლებად ცნობილ ფორვარდში – ტეო ვალკოტაში. საინტერესოა, რომ ეს ფეხბურთელი მხოლოდ 15 წლისაა.

ნბა

„ფინიქსს“ ყველაზე მეტი მოგება აქვს

გაიმართა ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. დიდი ინტერესი გამოიწვია კობი ბრაიანტის „ლეიკერსისა“ და „იუტას“ შეხვედრამ. „ლეიკერსმა“ 7 ქულის სხვაობით — 102:95 მოიგო. „დენვერმა“ სტუმრად 100:96 დაამარცხა „ატლანტა“. „ჰიუსტონმა“ 30 ქულის სხვობით გაანადგურა „ვაშინგტონი“ 123:93.

სხვა მატჩები: „ინდიანა“ — „პორტლენდი“ 95-87, „ორლანდო“ — „კლიპერსი“ 99:94, „მინესოტა“ — „ნიუ ჯერსი“ 82:71, „ჩიკაგო“ — „საკრამენტო“ 107:102, „გოლდენსტეიტი“ — „დალასი“ 107,:114.

გუშინ „მაიამიმ“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა — 113:95 დაამარცხა „კლიპერსი“. „სიეტლმა“ რიჩარდსონის ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად (ამ კალათბურთელმა 30 ქულა დააგროვა) მაინც წააგო საკუთარ მოედანზე „გოლდენ სტეიტთან“. **გუშინდელი მატჩები:** „ბოსტონი“ — „მემფისი“ 90:88, „კლივლენდი“ — „ატლანტა“ 111:89, „ტორონტო“ — „ჩიკაგო“ 115:121, „ფილადელფია — „დეტროიტი“ 75:93, „შარლოტა — „დენვერი“ 94:88, „ნიუჯერსი“ — „საკრამენტო“ 96:85, „ნიუ-იორკი“ — „მილუოკი“ 108:90, „ნიუ-ორლეანი“ — „სან ანტონიო“ 78:101.

აღმოსავლეთ კონფერენციაში ყველაზე მეტი მოგება — 40 აქვს „მაიამის“. მეორე ადგილზეა „დეტროიტი“, ხოლო მესამეზე — „ვაშინგტონი“.

დასავლეთ კონფერენციას კი „ფინიქსი“ ლიდერობს 41 გამარჯვებით. მეორეზეა — „სან ანტონიო“.

ილიუმჟინოვს საჭადრაკო სამყაროს გაერთიანების სჯერა

კასპაროვ — კასიმჯანოვის მატჩის ბედი თბილისში გაირკვევა

მას შემდეგ, რაც გარი კასპაროვმა განაცხადა, რომ აღარ დაელოდება რუსტამ კასიმჯანოვთან მატჩის გამართვას, საჭადრაკო სამყაროს გაერთიანების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ბევრმა ჩათვალა კიდეც, რომ ეს არასოდეს მოხდება, თუმცა, ფიდე კვლავ აგრძელებს მუშაობას ამ საკითხზე. გთავაზობთ ფიდეს პრეზიდენტის კირსან ილიუმჟინოვის მიერ „სპორტ-ექსპრესისათვის“ მიცემულ ინტერვიუს:

◆ ***კირსან ნიკოლაევიჩ, მაინც, რატომ ჩაიშალა კასპაროვ-კასიმჯანოვის მატჩი? ნუთუ ვერ გამოინახა მისი ორგანიზებისათვის საჭირო ფული ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიც არაბეთის გაერთიანებული საემიროებია?***

— თავიდან ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. მოვიდა წერილი შეიხ მოჰამედისაგან, რომელმაც კასპაროვ-კასიმჯანოვის მატჩის ჩატარება საკუთარ თავზე აიღო. ამის შესახებ გასული წლის შემოდგომაზე, სპეციალურ პრესკონფერენციაზეც განვაცხადეთ, მაგრამ რამდენიმე დღეში სიტუაცია შეიცვალა, — გარდაიცვალა არაბეთის გაერთიანებული საემიროების პრეზიდენტი — შეიხი ზაიედი. წესისამებრ, ამ ქვეყანაში ორთვიანი გლოვა გამოაცხადეს. მუშაობას მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობდა. დანარჩენი სამინისტროები და სახელმწიფო დაწესებულებები არ მუშაობდნენ. გადაიდო ყველა სახის ღონისძიება. ის ადამიანები, რომლებიც ჩვენთან კასპაროვ-კასიმჯანოვის მატჩის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, გვეუბნებოდნენ, რომ დეკემბერში დაგვიკავშირებოდით. მოგვიანებით, მათ შემოგვთავაზეს, იანვარში დანიშნული მატჩის გადატანა 2005 წლის მეორე ნახევრისათვის, რაც ხელს არ გვაძლევდა... და კიდევ ერთი, რუსტამ კასიმჯანოვი მზად იყო, სათამაშოდ ჩასულიყო დუბაიში, გარი კასპაროვის ადვოკატმა, ოუენ უილიამსმა კი მოითხოვა, მისი კლიენტის ანგარიშზე გარკვეული თანხის ჩარიცხვა გარანტიის სახით. არაბმა სპონსორებმა ამაზე უარი განაცხადეს.

თურქეთის ხელისუფლებაც მზად იყო, ჩაეტარებინა მატჩი ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, ის კი არა, მილიონ ნახევარი დოლარის გარანტიასაც იძლეოდნენ...

◆ ***და, რამ ჩაშალა ეს ვარიანტი?***

— ისევ გარი კასპაროვის პოზიციამ. ოუენ უილიამსი კვლავ ითხოვდა, მსოფლიოს მე-13 ჩემპიონის ანგარიშზე წინასწარ თანხის ნაწილის გადარიცხვას. თურქეთის ხელისუფლებამ კი გაგვიმარტა, რომ ისინი ყოველწლიურად ატარებენ უამრავ სპორტულ, საერთაშორისო ღონისძიებებს, მაგრამ სპორტსმენებისათვის ფული წინასწარ არასდროს გადაუხდიათ. აქედან გამომდინარე, არ სურდათ, რომ მოჭადრაკეები გამონაკლისნი ყოფილიყვნენ.

◆ ***ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ გარი კასპაროვთან?***

— ჩვენ გავუგზავნეთ მას ოფიციალური წერილი შეკითხვით. — სურს თუ არა რუსტამ კასიმჯანოვთან თამაში მიმდინარე წლის აპრილში. ჯერჯერობით, პასუხი არ მოუწერია.

◆ ***კი მაგრამ, ხომ შეგეძლოთ, ვთქვათ, პირადად მობილური ტელეფონით დაკავშირებოდით?***

— როგორ არა. ადრე ყოველდღიურად რამდენჯერმე ვსაუბრობდით ტელეფონის საშუალებით, მაგრამ ამჯერად განსაკუთრებული მდგომარეობაა: ამას წინათ მან გახმაურებული ღია წერილით მოგვმართა ჩვენ, — ფიდეს. აქედან გამომდინარე, ჩვენც წერილი გავუგზავნეთ...

◆ ***არსებობს თუ არა შანსი იმისა, რომ კასპაროვი დაგთანხმდებათ?***

— დააკვირდით. არც თურქული მხარე და არც ჩვენ არ ვჩქარობთ რადიკალური გადაწყვეტილების მიღებას... ჩვენ გვსურს, რომ კასპაროვმა ითამაშოს.

◆ ***შეიძლება თუ არა, რომ კასპაროვის უარის შემთხვევაში, ის რომელიმე მოჭადრაკემ, ვთქვათ, ვიშვანათან ანანდმა, შეცვალოს?***

— ამას გადაწყვეტს ფიდეს საპრეზიდენტო საბჭო, რომელიც სხდომებს 26-27 თებერვალს, თბილისში ატარებს.

◆ ***გაქვთ იმედი იმისა, რომ პრაღაში შედგენილი საჭადრაკო სამყაროს გაერთიანების გეგმა ბოლომდე განხორციელდება?***

— მე ოპტიმისტურად შევყურებ მომავალს და ამ მომავალში მსოფლიოს ერთიან ჩემპიონს ვხედავ.

ხსოვნა

ვაჟა ლიპარტია

სიცოცხლე ღვაწლით ფასდება. მით უფრო თუ მთელი ცხოვრება თაობების აღზრდის სამსახურშია გატარებული. ვაჟა ლიპარტია იმ ღვაწლმოსილ ადამიანთა შორისაა, ვინც მთელი თავისი ცოდნა და ენერგია ახალგაზრდობის ჰარმონიული აღზრდის, კერძოდ, ფიზიკური აღზრდის სამსახურში გაატარა. 1956 წელს დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი, იმუშავა ჯერ წალენჯიხის რაიონის სოფლების ნაკიფუს და ფახულანის, შემდეგ ხობის რაიონის შუა ხორგის და მშობლიური აბაშის რაიონის სოფ. ტყვირის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლად. 1978 წლიდან ამავე რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორად დაინიშნა, სადაც იმუშავა 2000 წლამდე. უმწიკვლო და ხანგრძლივი ნაყოფიერი შრომისთვის დამსახურებული ჰქონდა მთავრობის არაერთი ჯილდო, იყო „შრომის ვეტერანი“, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება.

უკვე 40 დღე გავიდა, რაც ვ. ლიპარტია ქვეყნისა და მშობლიური ხალხის წინაშე ვალმოხდილი 72 წლისა წავიდა ამქვეყნიდან.

ვ. ლიპარტიას ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება ჩვენი და მისი აღზრდილთა გულებიდან.

იური იობაია,
აბაშის რაიონის სპორტის
დეპარტამენტის თავმჯდომარე,
ალექსანდრე კვიტატიანი,
სტადიონის დირექტორი,
უმანკო მიმინოშვილი,
„შევარდენის“ რაისაბჭოს
თავმჯდომარე

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



18 თებერვალი, პარასკევი

НТВ плюс футбол. ჩემპიონთა ლიგა. 2004-2005. ესპანეთის „ვალენსია“ — გერმანიის „ვერდერი“ (12.20), თავისუფალი დარტყმა (14.45, 22.35), „ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები“. „სან კაეტანო“ — „სანტოსი“ (15.00), ინგლისის ჩემპიონატი. „ევერტონი“ — „ჩელსი“ (16.45), „ფუტბოლ მუნდიალი“ (20.10), ჩემპიონთა ლიგა. 2004-2005 წ.წ. იტალიის „რომა“ — ესპანეთის „რეალი“ (20.40), საფრანგეთის ჩემპიონატი. „მონაკო“ — „ლიონი“. პირდაპირი ტრანსლაცია (22.55), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (0.55), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.55); *НТВ плюс спорт.* ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (11.55), „ატრ“-ის საჩოგბურთო მიმოხილვა (13.40), კარატე-კიოკუშინკაი. იაპონიის ჩემპიონატი (14.10), ბილიარდი. „US Open“ (16.25), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატის მატჩი (22.15), „ყველაზე ღონიერი ადამიანი შვეციაში“ (0.30), სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ვაჟები. სწრაფდაშვება (1.00), კალათბურთი. ნბა. ახალწვეულთა მატჩი (5.00); EUROSPORT. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (10.45), ფუტზალი. ევროპის ჩემპიონატი. ჩეხეთის რესპუბლიკა (11.45, 17.45, 20.30), სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო · ჩემპიონატი (12.45), ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი (19.00), მძლეოსნობა. საერთაშორისო ფედერაციის პრიზზე (22.00), ევროსპორტის ახალი ამბები (2.15), **7-ტვ.** სპორტული ცეკვები (8.30, 13.30, 20.30, 2.00), პროფესიული კრივი. „101 დიდი ნოკაუტი“ (11.40, 22.10).

19 თებერვალი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. იმედი. ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი. „უდინეზე“ — „ინტერი“. (22.30, 23.30), იტალიის ჩემპიონატი. „მილანი“ — „კალიარი“ (0.30, I—II ტაიმის ვიდეოჩანაწერი); *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა. 2004-2005 წ.წ. სეზონი. იტალიის „რომა“ — ესპანეთის „რეალი“ (12.15), საფრანგეთის ჩემპიონატი. „მონაკო“ — „ლიონი“ (14.10), ფუტბოლ მუნდიალი“ (16.10), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (17.20), გერმანიის ჩემპიონატი. „ბავარია“ — „ბორუსია“ (20.10), საფრანგეთის ჩემპიონატი. „ტულუზა“ — „ბორდო“. პირდაპირი ტრანსლაცია (21.55), ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (23,55); *НТВ плюс спорт.* მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება გრან-პრი. ინგლისი (10.25), „სპორტული გლობუსი“ (13.55), სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი. ქალები. სუპერგიგანტი. პირდაპირი ტრანსლაცია (14.25), „ყველაზე ღონიერი ადამიანი შვეციაში“ (15.30), ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი. ბრაზილიიდან (17.00), ფიგურული ციგურაობა. შოუ-ფესტივალი (19.15), კალათბურთი. „ვარსკვლავთა უიკ-ენდი“. ნბა-ს ახალწვეულთა მატჩი (20.15), ბრძოლა წესების გარეშე (2.45), სამთოსათხილამურო სპორტი: მსოფლიო თასის ეტაპი. ვაჟები. სწრაფდაშვება (0.30), ქალები — სუპერგიგანტი (1.30), კალათბურთი. „ვარსკვლავთა უიკ-ენდი“. ნბა-ს ვარსკვლავთა შოუ. პირდაპირი ტრანსლაცია (4.25); EUROSPORT. ფუტზალი, ევროპის ჩემპიონატი (11.00), ზამთრის სპორტის სახეობები: ტრამპლინი (12.00), სამთო თხილამურები (13.00), სათხილამურო კროსი (14.30), ბობსლეი (15.30), ბიატლონი (16.15), ტრამპლინი · (17.00), ჩოგბურთი. „ვტა“-ს ტურნირი (19.45), ევროსპორტის ახალი ამბები (1.30, 3.45), კრივი. პროფესიონალები (1.45); **7-ტვ.** სპორტული ცეკვები (8.00, 10.30, 12.30, 20.30), ბილიარდი (19.30), საცხენოსნო სპორტი. ზამთრის პრიზების გათამაშება ვენსენსკის იპოდრომზე (21.30), ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (21.55).

20 თებერვალი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. იმედი. პროგრამა „ასი“ (16.30), **მზე.** ფეხბურთი (22.00); **რუსეთის 1-ლი არხი.** უძლიერეს პროფესიონალთა ბრძოლა. ზაბ ჯუდაკორი სპინქსი (0.10); *НТВ плюс футбол.* საფრანგეთის ჩემპიონატი. „ტულუზა“ — „ბორდო“ (10.15), შოტლანდიის ჩემპიონატი: „სელტიკი“ — „გლაზგო რეინჯერსი“ (12.20), ესპანეთის ჩემპიონატი (14.00), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (15.45), „ფუტბოლ მუნდიალი“ (16.10), იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (16.55), თავისუფალი დარტყმა (19.00), გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (19.25), იტალიის ჩემპიონატი, პირდაპირი ტრანსლაცია (22.25), ესპანეთის ჩემპიონატი (0.35); *НТВ плюс спорт.* ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი (10.25), საჭადრაკო მიმოხილვა (12.45), სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30), ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი (14.30), პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონობისათვის: ბერნარდ ჰოპკინსი — ჰოვარდ ისტმანი (16.45), მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება გრან-პრი. პირდაპირი ტრანსლაცია (18.55), კალათბურთი. „ვარსკვლავთა უიკ-ენდი“. ნბა-ს ვარსკვლათა მატჩი (22.00), ტაილანდური კრივი (0.15). EUROSPORT.. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატები და თასის გათამაშება (10.30, 11.30, 14.30, 16.15, 17.30), ფუტზალი, ევროპის ჩემპიონატი. ჩეხეთის რესპუბლიკა (19.15), ჩოგბურთი. „ვტა“-ს ტურნირი (1.00), ევროსპორტის ახალი ამბები (2.00, 3.15), ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა. 16 უკანასკნელი მატჩი (2.45); **7-ტვ.** სპორტული ცეკვები (8.00, 12.30, 17.30, 2.00), ბილიარდი (19.30), ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (20.55), ავტოსპორტი. 2004-ის სეზონი. ფორმულა „ბმვ“-ე (23.30).

კროსვორდი

თარაზულად: 1. იტალიის საფეხბ. კლუბი, 4. საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 6. გერმანიის საფეხბ. კლუბი, 7. ჩოგბურთელ ჰინგისის სახელი, 9. ფეხბურთში თავდამსხმელის ამპლუა, 11. იტალიის საფეხბ. კლუბი, 12. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 13. იტალიის საფეხბ. კლუბი, 17. სამაგიდო თამაში, 19. ვეტერანი ქართველი ძიუდოისტი, 14. საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, 20. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, 23. პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში, 25. ბათუმის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი — მეკარე, მწვრთნელი, 28. ზამთრის XVI ოლიმპიური თამაშების მასპინძელი კურორტი, 29. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი.



შვეულად: 2. თვითმფრინავის კიბე, 3. ვეტერანი ტანმოვარჯიშე დრონოვას სახელი, 4. მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 5. სპორტნაწარმის ცნობილი ფირმა, 6. მძლეოსნური იარაღი, 8. სპორტის სახეობა, 9. ქართული სპორტული ჟურნალი, 10. ფეხბურთში ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა, 11. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 15. შვეიცარიის საფეხბ. კლუბი, 16. საბერძნეთის საფეხბ. კლუბი, 18. ქვემო ქართლის საფეხბურთო გუნდი ახლო წარსულში, 21. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 22. გადაწოდება ანუ... 24. ფეხბურთში 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა, 26. მოჭადრაკე ჩაიკოვსკაიას სახელი, 27. ბილიარდის ჯოხი.

მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ბოტა, 6. არენა, 7. ათურმა, 9. კალმახელიძე, 12. ტალი, 15. პონედელნიკი, 17. არსენა, 18. საპორო, 19. აზარიანი, 21. ანრი, 22. ბულია, 23. ილარიანი.

შვეულად: 1. ბარკლი, 2. ლეილა, 3. ბა, 4. კუპე, 5. პარიზი, 7. არიგო, 8. ახვლედიანი, 10. კალიფორნია, 11. კანდელაკი, 13. „სპარტაკი“, 14. „დილა“, 16. ზონინი, 18. საიდა, 20. ანი.

ნჰლ-ის სეზონ
ოფიციალურად გააუქმ

ნაციონალური ჰოკეის ლიგ 2004-2005 წლის სეზონი ოფიციალ რად გაუქმებულად გამოცხადდა. ამ შესახებ საზოგადოებას ნჰლ-ის კ მისარმა გარი ბეტმენმა აცნობა.

„სექტემბერში ვთქვი, რომ ნჰლ ის თამაშები არ დაიწყება, ვიდ ეკონომიკურ პრობლემებს არ გად ვწყვეტდით. აი, ახლაც ვდგავარ თ ვენს წინაშე და ვაღიარებ: სეზონ გადარჩენის შანსი, რომელიც ბოლ მომენტამდე არსებობდა, ალ არის. ნჰლ-ის წლევანდელი ჩემპიონ ტი ჩაიშალა, — განაცხადა გარ ბეტმენმა თავის სპეციალურ გამოს ლაში, — საწყენია, — ყველაფე რის მიღწევასაც ვცდილობდით, ან ლირებულია. ამის შემდეგ ლიგ მომავალზე უნდა ვიზრუნოთ, აგრეთვე იმ 30 გუნდზე, მასში რ ასპარეზობდნენ“.

საჭადრაკო ამოცანა

ა. ქუკი (1975 წ.)



შამათი 2 სვლაში

№11-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.მფg1!

1. ..... g3 2. f3 g5 3. კf6 g4 4. მf4X
1. ..... g5 2. კf6 g3 3. f3 g4 4. მf4X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე